



# დღე

პირველი ქართული სპორტული გაზეთი  
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან  
+ 25 აპრილი სუთვაბათი 2013  
№ 096 (14 012) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ზიგლირობა

საბავშვო სპორტული ცენტრების განვითარება

## ჩელონი... გაიხსენებს ხიზანა ING-იან ფორმას?

# ლევან გოლსკი



გერმანია  
ფინალისკენ  
დაიძრა



### დორბგუნდი 4:1 რეალი




ჩეკოვროთა ლიგის 1/4-ფინალი

## ჩაქრა

გუშინ, რუსთავში დაიწყო და ვერ დასრულდა საკალათბურთო სუპერლიგის მეოთხედფინალური შეხვედრა ადგილობრივ გუნდსა და „ქუთაისს“ შორის. მიზეზი: პირველი პერიოდის დასრულებამდე 2:37 წუთით ადრე, როცა სტუმრები 14:13-ს იგებდნენ, დარბაზში სინათლე ჩაქრა და „მის გამოჩენას“ ერთი საათის განმავლობაში ამაოდ ველოდით. საბოლოოდ მატჩის 28 აპრილისთვის გადადება გადაწყდა. მანამდე, სერიის (ორ მოგებაამდე) პირველ შეხვედრას ქუთაისის 26 აპრილს უმასპინძლებს. თუ საჭირო გახდა, მესამე თამაში რუსთავში გაიმართება.

## ერთი კბენა: 10 მაგრი



ისევ გაერთიანებული ლიგის ირგვლივ

## გოლი, ჩვენსას მივხედოთ



ახალი რეზრიკის კრემიერა

# ანო! გო იე ფანბასბიკა!






ინტერვიუ

კახა კაჭარავა: კლიური გუნდის ჩამოყალიბებას დრო სჭირდება აზერბაიჯანელბთან თამაშს მხოლოდ მივსაღებო

“ზესტაფონა”, რომელიც ზედი-ზედ ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, მიმდინარე სეზონი პირველიდან ჩაავდო – თასის გათამაშებას მერვედფინალიდან გამოეთიშა, ჩემპიონატი კი საუკეთესო შემთხვევაში მეხუთე ადგილს დაიკავებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფეროლები ევრო-ტურნირებზე ვერ იასპარეზებენ. ყოველივე ამას “ზესტაფონის” გულშემმატიკივართა ბუნებრივი აღმფოთება მოჰყვა, თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელი კახა კაჭარავა სიმშვიდეს ინარჩუნებს და იმედოვნებს, რომ “ზესტაფონი” ამ უსამოვნო პერიოდის დაძლევისა და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას შეძლებს. “ლელომ” მას ქართულ-აზერბაიჯანული გაერთიანებული ლიგის შესახებაც ჰკითხა აზრი.



ბებმა ეროვნულ გუნდს ძლიერი კადრები აღუზარდონ.

გაერთიანებულ ქართულ-აზერბაიჯანულ ჩემპიონატზე რა აზრის ხართ?

– მიმანია, რომ ამ იდეას პლუსი გაცილებით მეტი აქვს, ვიდრე – მინუსი. აზერბაიჯანელებთან თამაშს მხოლოდ მივესალმები. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ექსტრა-კლასის ლიგა, მაგრამ თავისი დონით უდავოდ უკეთესი იქნება საქართველოს ჩემპიონატზე. თუ ეს პროექტი განხორციელდა, ქართული კლუბები ფინანსურად იხიბებენ და ახალი ჩემპიონატი გულშემმატიკივრებისთვისა და ფეხბურთელებისთვისაც უფრო საინტერესო იქნება. მათთვის საერთაშორისო მატჩებს სულ სხვა დატვირთვა აქვს და მსგავს გარემოში პროგრესი უფრო შესაძლებლად მიმანია, ვიდრე ჩვენი უმაღლესი ლიგის პირობებში. საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს უმეტესად, ასიოდე კაცი ესწრება, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც ფეხბურთელების ახლობელია. იმედი მაქვს, ნამყვან აზერბაიჯანულ კლუბებთან ბრძოლა ჩვენს სტადიონებზე სულ სხვა მუხტს გააჩენს.

ლევან ჯანაიასპვილი

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like ლოკომოტივი, სამტრედიო, ალბათი, მირცხალი, სამგურალი.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 1. სპარტაკი, 2. ლოკომოტივი, 3. შუშუბა, 4. სამტრედიო, 5. კოლხეთი, 6. სამგურალი, 7. ალბათი, 8. მირცხალი, 9. ლიანხი, 10. ჩხარბილა, 11. ადელი.

II ლიგა, დასავლეთი ზონა

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like მთაწამლა, სპარტაკი, ტორპედო-2011, ზახარა, ლაზიკა, კოლხეთი-2.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 1. ლაზიკა, 2. მთაწამლა, 3. სპარტაკი, 4. ზახარა, 5. სპარტაკი, 6. ზუგდიდი, 7. მარაგეთი, 8. კოლხეთი, 9. შუშუბა, 10. სამგურალი, 11. ინგურა, 12. ტორპედო, 13. მგობა.

თვალსაზრისი

მასწავლებელი, გუნდის გამსარბელი...

ამ „ბარსელონაზე“ ამბობდნენ – ფეხბურთში ამაზე მეტის მოგონება შეუძლებელიაო, მიუნხენის „ბაიერნმა“ კი ეს გუნდი 4:0 დამარცხა.

ეს „ბარსელონა“ გეგმაზომიერი, მიზანმიმართული შრომის შედეგია, ასევეა „ბაიერნიც“.

დიდი გუნდები სხვანაირები არიან და სხვანაირადც მიჰყავთ საქმე. დიდი გუნდების საზომია ძველი ტიტულები, ფილოსოფია და ბევრი ფულით მოხვეჭილი ვარსკვლავი ფეხბურთელები.

ჩვენს „დინამოს“ 32 წლის წინათ, მადრიდში ჰყავს დამარცხებული მიუნხენის „ბაიერი“. მაშინ ბავარიულ გუნდს „ბრაიტინგსაც“ ეძახდნენ, რადგან თამაში მათ მიჰყავდათ – პაულ ბრაიტინგსა და კალე რუმენიგს.

ტურნირს „სანტიაგო ბერნაბეუს“ თასი ერქვა, რომელიც 1979 წლიდან ტარდება და დღესაც ცოცხალია. მადრიდის „რეალისთვის“ „სანტიაგო ბერნაბეუს“ თასი ახლა უფრო იმად არის მნიშვნელოვანი, რომ სეზონის წინ ამ ტურნირით პრეზენტაცია მოუწყოს გუნდის ახალწვეულებს, ხოლო მაშინ, როცა „დინამომ“ ითამაშა ამ თასზე, სხვა სიტუაცია იყო, ტურნირს სხვა დატვირთვა ჰქონდა „რეალისთვისაც“ და მის მიერ მოწვეული სხვა გუნდებისთვისაც.

ქართული კლუბი დღეს ვერ დაეტოვება „რეალსა“ და „ბაიერნს“, მაგრამ „დინამოსაც“ აქვს ის საზომი ერთეული, რითაც იზომება დიდი გუნდი. „დინამო“ ბადრი პატარკაციშვილის მფლობელობაში რომ გადადიოდა, საგანგებო პრესკონფერენციაზე მავანი ბრიტანელი, პიტერ ბონდი გეგმაზო და გვიტორა – „დინამოს“ თავისი მნიშვნელობით „სელტიკსა“ და „მალზაგო რინჯერსს“ შევადარებდი. მას შემდეგ მისტერ ბონდი დიდიხანა აღარავის უნახავს, მის სიტყვებს კი ის ძალა აღმოაჩნდა, დღესაც რომ მახსოვს.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში სხვა ქართულმა გუნდებმაც ითამაშეს – ქუთაისის „ტორპედომ“ და ლანჩხუთის „გურამი“. ეს კი ცოცხალ რეალიზაციას ამ კლუბებისთვის, „ტორპედოს“ სულაც კიევის „დინამო“, ჰყავს დამარცხებული. ეს ყველაფერი იმას მოელოდა, რომ რამდენიმე ქართულ გუნდს ნამდვილად აქვს ძლიერი საფუძველი, რომ ფილოსოფია შექმნას, ან იმ ფილოსოფიას გაჰყვას, რაც საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა. ცხადია, „დინამო“, „ტორპედო“ და „გურამი“ ამ მხრივ სხვებზე წინ არიან. „ბაიერი“ კი დღეს ყველაზე აქტუალურია, მათ შორის ჩვენთვისაც, რადგან გერმანელებმა რაღაცა მოიგონეს, „ბარსელონაზე“ მეტიც კი. „ბაიერი“ ჩვენთვისაც კარგი მაგალითია – ბავარიელებმა ჯერ იფიქრეს, მერე იმოქმედეს, კურსს არ გადაუხვიეს, ბევ-

რი ფულიც იმოვეს და ბოლოს „ბარსელონაც“ გადაჯგვეს.

გერმანია ის ქვეყანაა, სადაც ფეხბურთში შავი ფული არ ტრიალებს. ფინანსური ფეარ პლეის შესახებ თუ გსმენიათ, ეს სწორედ გერმანელების და მათნაირი ხალხისთვისაა ზედგამოჭრილი, ანუ კულუმბა მხოლოდ ის ფული უნდა დახარჯოს, რასაც შოულობს. მდიდარი შეიხისთვის თუ რუსი ოლიგარქისთვის არასდროს ყოფილა მიმზიდველი „ბაიერნის“ ყიდვა, რადგან მათი ადგილი იქ არ არის – რეკომდაისტერის ფილოსოფია სულ სხვანაირია.



კალე რუმენიგე (მარცხნივ) და პაულ ბრაიტინგერი

ფეხბურთში ბევრი რამე სწრაფად იცვლება, დიდი გუნდების ფილოსოფია კი რჩება, სხვანაირად ისინი დიდები ვეღარ იქნებიან. „ბაიერნს“ ჰყავს არიენ რობენი და ფრენკ რიბერი, მაგრამ არ უნდა ისეთ დიდ გუნდებს დაემსგავსოს, სადაც მთავარი ის არის, რომ რაღაც არ უნდა დაუფდეს, სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი ან დევიდ ბექჰემის დარი „სელტებითი“ მიიწვიოს.

ამ „ბაიერნის“ შემხედვარეს, ყველას ერთი კითხვა უჩნდება: რალა საჭიროა ჰუმ გვარდიოლა, როცა არის იუზ ჰაინკესი? პასუხი: გვარდიოლა „ბაიერნის“ აკადემიას სჭირდება. ცხადია, ეს პასუხი ჩემი მოგონებით არ არის, რუმენიგსთან დაახლოებული კაცმა მითხრა.

როცა „ბაიერნმა“ ლუი ვან გაალი მიიყვანა, ული ჰოინესმაც და ფრანც ბეკენბაუერმაც ერთი და იგივე თქვეს: ჩვენს გუნდს მასწავლებელი მწვრთნელი სჭირდებაო. ვან გაალის ხელში დანიშნაურდნენ ტონი კროსი, თომას მიულერი, დევიდ ალაბა, ჰოლგერ ბადშტუბერი... ახლა კი მგონი მაქვს იმის უფლება,

რომ ჩემი აზრი გამოთქვა: ამ ეტაპზე იმ ქართულ გუნდებს, რომელთაც საკულბო ფილოსოფიაზე აქეთ პრეტენზია, ყველაზე უფრო მასწავლებელი მწვრთნელი სჭირდებათ.

ფილოსოფიის შექმნა კი გვირინად რთული საქმეა. ეს რომ მოახერხო, ჯერ შენ თვითონ უნდა იყო ფილოსოფიური, დაფიქრებული და დაკვირვებული. ასეთი ხალხი კი ყველაგან რთული მოსაძებნია, მათ შორის საქართველოშიც.

ქართველებს არც 1981 წელს გვექონდა გერმანელებზე მეტი ფული, მაგრამ ქართულმა გუნდმა „ბრაიტინგს“ და-

მარცხება მაინც მოახერხა. მაშინ სხვა სული, სხვა ფილოსოფია ჰქონდათ ქართულ გუნდებს, რისგანაც დღეს ბევრი არაფერი დარჩა, მაგრამ რადგან იყო, იმაზე დაშენება უკვე შეიძლება.

ერთი პერიოდი, „ბაიერი“ ბევრით დამორდა ფულითა და ძლევამოსილებით სხვა ევროპულ გრანდებს, მაგრამ საფუძველს სწორად დააშენა აგურები და დღეს რასაც წარმოადგენს, ყველა კარგად ხედავს. არ ვიცი, გავა თუ არა „დორტმუნდი“ წლეულს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, მაგრამ ფაქტია – 2005 წელს კლუბი გაკოტრების პირას იყო მისული, მაგრამ გამოჩნდა ახალი მენეჯერი, 2008 წელს კლუბმა მიაგნო იურგენ კლოპს და შემუშავდა ახალი, ძველ ფილოსოფიაზე დამყარებული პოლიტიკა.

არ არის აუცილებელი, ყველაფერში გერმანელებს მივბადოთ, ოღონდაც სხვათა დიდ გუნდებზე დაკვირვება ნამდვილად გვმართებს. ფილოსოფია პატარა კლუბებსაც აქვთ, მაგრამ მათ მაგალითის დიდი ძალა არ გააჩნიათ...

დავით თაპარაძე

ფუტსალი

საქართველოში პირველი ბარსელონა ივარჯიშებს ახალგაზრდული ნაკრებისთვის შირაქიში ალინჯაბ

შეშას ფუტსალის თასის „ოთხთა ფინალის“ ნახევარფინალები ხვალ გაიმართება. ევროპის საკულბო ფუტსალის ოთხი გამორჩეული გუნდი უკვე თბილისშია. დღეს სპორტის სასახლეში პირველი „ბარსელონა“ ივარჯიშებს, მაგრამ მათი სანერონელი პროცესი დახურული იქნება.

ფუტსალის „ბარსელონა“ საქართველოში პირველად გვესტუმრა, თუმცა საქართველოსთან შეხება აქამდეც ჰქონდა. 2008 წელს, გალისიაში გამართულ ტურნირზე ჩვენი ეროვნული ნაკრები კატალონიელებთან და „ზამორასთან“ ერთად მონაწილეობდა. ცნობილმა ესპანურმა გამოცემა „ელმუნდომ“ იმ შეჯიბრებას წერილი მოუძღვნა.

კატალონიურ გრანდთან ჩვენი ეროვნული ნაკრები ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელის, ავთანდილ ასათიანის საჯარო მდარტყმით დაინიშნა. თუმცა „ბარსელონას“ ოსტატობამ თავისი ქნა და შეხვედრა მისი გამარჯვებით 5:1 დასრულდა. ფუტსალის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ბექა კვიციანმა ჩვენების ტურნირზე გამგზავრება ისე მოაწყო, რომ ტრანსპორტირებისა და დაბინავების ხარჯები თავად ესპანელებმა გაიღეს.

ახლა, რაც შეეხება საქართველოს ფუტსალის ახალგაზრდულ ნაკრებს, რომლის ჩამოყალიბებაც ახლახან გადაწყდა:

კვიციანის თქმით, იდეა ორგანიზაციის საპატიო პრეზიდენტს კახა დევედარიანს ეკუთვნის. ამ გუნდმა ეროვნული ნაკრები „ახალი სისხლით“ უნდა მოამარაგოს, თან უეფა ახალგაზრდულელებში შესარჩევი ციკლის ჩატარებას 2015 წელს აპირებს.

„სავარაუდოდ, ახალგაზრდულ ნაკრებს პეტრე თაბუკაშვილი უხელმძღვანელებს, მე კი ყველაწიარად დავეხმარები. დიდი ფეხბურთისგან განსხვავებით, ფუტსალში ამ ნაკრების შექმნა ძნელი იქნება, რადგან ეროვნულ ჩემპიონატში სულ 70 მოთამაშეა და კადრების აშკარა დეფიციტი გვაქვს. ამიტომ, შერჩევები დაგვეჭრება. კანდიდატები შეიკრიბებიან, მოეშაადებიან და ნაკრების მაისურას საუკეთესოები მოირგებენ. რამდენიმე ახალგაზრდის კანდიდატურა უკვე შემოგვთავაზა გორის სკოლამ. რეკომენდაციებს ველით უმალესი და პირველი ლიგის გუნდებისგან. რაც მეტი 18-19 წლის ახალგაზრდა მოვა, მით უფრო დიდი არჩევანი გვექნება და იქნებ, რომელიმეს თვალს ეროვნული ნაკრების შესვეურებაც დაადგან. და თუ 24 და 25 სექტემბერს პორტუგალიის ახალგაზრდულს დავეუბრისპირდებით, ეს ჩვენი გუნდის ფორმირებისთვის დიდი ჰიბი იქნება.“ – გვიტორა კვიციანმა.

მერაბ მამულაშვილი



მატჩის წინ

„კოტე მახარაძე“

როგორც იცით, ჩვენი ტურისტული ჯგუფი პოეტებით, მწერლებით, მსახიობებით, მხატვრებით და მომღერლებით დაკომპლექტდა, იმ ვარაუდით, რომ როტერდამში ჩვენს ბიჭებს მხარში ამოდგომოდნენ და გაემხნევენ...

22 აპრილს როტერდამში ჩავედი. საღამოს კი გუნდთან ერთად ავტობუსით სტადიონისაკენ გავემართე. ქალაქში არ იგრძნობოდა, რომ ორიოდე საათში ევროპის ფასების მფლობელთა თასის უხვევარფინალური გადამწყვეტი მატჩი უნდა დაწყებულიყო...

„ლელო“ - 06.05.1981

მატჩი, როგორც ფინალის საზღვარი

მოთარაღი: „ფიქსურის“ სტადიონი 22 აპრილი

ფიქსურის (როტერდამი) 2 დინამო (თბილისი) 0

„დინამო“ გაბეღია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაპიტანი), სულაქველიძე, გუცაივი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯეები: ფ. ვერერი, ი. ლოზერტი, ხ. როხაზა (ყველა - ავსტრია).

გაყრდნობის ხარჯი: 35.000 მარკი.

...ორი შეხვედრის ჯამში თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2 და პირველად თავიანთი არსებობის ისტორიაში მიადნეს ასეთ სერიოზულ წარმატებას დიდ საერთაშორისო ტურნირში...

...არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აღუნიშნავდ დაეტოვოთ ავსტრიული არბიტრის ფ. ვერერისა და მისი „ერთგული“ თანაშემწეების ყოვლად უპრინციპო, არაობიექტური და მიკერძოებული მსაჯობა.

ფინალის ბის დაბრუნება

„გაზაფხულის ნამდვილი სადღესასწაულო დარი დახვდა დინამოელებს თბილისში. ფინალში გასულ ბიჭებს რომ ეკადრებოდა, ისეთი...“

ჩამოვრდინდნენ! - დაიძახა ვილაკამ და უამრავი ხალხი მიანყდა საფრენ ბილიკზე გასასვლელ დერეფანს. იგი ვინაო და ყველას ვერ იტყვის. უურნალობის ტენი წინ გასვლას ვცდილობთ. დიდი მონდომების შედეგად „ლიდერთა“ რიგებში ვხვდებით - ტრანსპარანტებითა და ბაირალებით ხელდამშვენებულ გულშემატიკრებს წინ მივუძღვებით.

ლიბნერი ჯერ კიდევ მოძრაობს. ხომალდის ეკიპაჟის მეთაური, პირველი კლასის გამოცდილი პილოტი იური ზუიკოვი სიამოვნებით იღივება: ძვირფასი „ტვირთი“ მან ზუსტად დროზე, გრაფიკით ჩამოიყვანა თბილისში. ყოველივეს ვინერ, ვიცი, რომ ერთობ დაინტერესებს მკითხველებს დღეს და მომავალშიც...

ნაპირი გამახსენდა. თბილისის აეროპორტის ღამე, მოსაცდელ დარბაზში მოგროვილი ჰოლანდიელი ფეხბურთელები, უურნალობის და „ფიქსურის“ უამრავი გულშემატიკრა. გამახსენდა პრესკონფერენციაზე მეტოქის მწვრთნელის ვაცლავ იუჟევის მიერ წარმოთქმული სიტყვები - „დინამო“ ტექნიკური, მაგრამ გატეხილი გუნდიაო, - სიტყვები, რომელიც ჰოლანდიელი უურნალობის ბის გასაგონად იყო ნათქვამი.

მეორე დღეს, სასტუმრო „აჭარის“ დარბაზში, ჰოლანდიელთა გუნდი თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ შეხვედრის ვიდეოჩანანერს უტყვევდა (ვიდეოჩანანერი „დინამომ“ შესთავაზა „ფიქსურის“).

დამთავრდა ჩანანერის გასინჯვა და დარბაზში შუქი ჩართეს... ახლაც თვალწინ მიდგას იუჟევის დაბნეული სახე, მას აღარ უთქვამს „დინამო“ გატეხილი გუნდიაო, ნიკაპზე ხელი მოისვა და თავისთვის ჩაილაპარაკა - ანო! ტო იე ფანტასტიკა! - (სპორტული ვიდეო და გარკვევით გავიგონე ეს სიტყვები).

8 აპრილის მატჩის დროს ჰოლანდიელი უურნალობის ალტაცების გამოსახატავად ხშირად ხმარობდნენ სიტყვას - „ფანტასტიკა“.

თბილისი დიდი ფეხბურთის ქალაქია - ეს სიტყვებიც იუჟევის ეკუთვნის და ამჯერად უკვე თამაშის შემდეგ არის ნათქვამი...

თვითმფრინავი გაჩერდა. ლაინერს ორი კარი აქვს და ორი ქათქათა ტრაპი მოცურავს თვითმფრინავის კენ...



როტერდამელთა კარს უტყვეს რამაზ შენგელია

ხალხი მჭიდრო რკალად ეკვრის ერთ-ერთ ტრაპს. ყველაზე წინ ტრაპის კიბეზე, ბლოკოტეხითა და მიკროფონებით ვდგავართ, მარჯვნივ და პირდაპირ ტრანსპარანტები მოჩანს: „სულ გამარჯვებით გველოთ ჩვენი ოქრის ბიჭებო“, თბილისის „დინამოს“ ეულოცავთ ფინალში გასვლას, „დიდება ლომკაცებს“!

მეზავრები თვითმფრინავიდან ჩამოდიან, ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ. გონების თვალთ სალონში გადავიდეთ. დინამოელები კარისკენ იქიერებიან, ყველას სურს დაინახოს რა ხდება იქ, ქვევით, „მინაზე“.

აი ახლა, გვერდზე გაიწევა კარში მდგომი სტიუარდესა და პირველი გამოჩნდება ალექსანდრე ჩივაძე (რატომღაც მგონია, რომ პირველი ჩივაძე უნდა გამოჩნდეს), სტიუარდესა გვერდზე იხეცს, ვიდაცას გზას უთმობს და... კარში ნოდარ ახალკაცი გამოჩნდა... სასულე ორკესტრი მარშს უკრავს. გაისმის შეძახილები, ტაში, ახალკაცს მოჰყვებიან კოსტავა, შენგელია, მერე - ხინჩაგაშვილი, ყიფიანი, ჩივაძე. პირდაპირ ტრაპზე ვართმევთ ინტერვიუს შობა ხინჩაგაშვილს. მას დაალოლო, თითქოს მოწყენილი სახე აქვს... სინაწულით ამბობს - ორი გაფრთხილების გამო (ერთი ინტერვიუ და ერთი ცენტრალური) ფინალურ შეხვედრაზე მაყურებლის როლში გამოვალო -

თუმცა ყველას გენამს, რომ გუნდის ფინალამდე მისვლისათვის ხინჩაგაშვილმა თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ახლა დათო ყიფიანს გამოველაპარაკეთ. იგი ნათესაების, გულშემატიკრების, მეგობრების გარემოცვაშია, კითხვებზე ნაწყვეტ-ნაწყვეტად გვპასუხობს:

...სტუმართმოყვარეობა? კარგად შეგვხვედნენ, თბილად მიგვიღეს თუმცა ჯობდა ცივად მიველეთ და „თბილად“, ადამიანურად ებრძოლათ და ემსაჯათ მინდორზე... მატჩის კომისარი? არ ვიცი ვინ იყო, კომისარი არ გვაჩვენეს, თვალთ არ გვიანახავს...

იქაური პრესა რას წერს თამაშის შესახებ? - არ ვიცი, არ ვიცი. დღეს იქნებ თავი დამანებოთ, თქვენი ჭირიმე, დაალოლო ვარ, ფეხზე ძლივს ვდგავარ.

დათოს გასასვლელისკენ მიაცილებენ. ახლა სვანაძე მოვიხელთეთ...

კმაყოფილი ხართ თქვენი თამაშით?

არა, არავინაა თავისი თამაშით კმაყოფილი, მსაჯებმა დაგვამინეს, პირველი გოლი რომ არ ჩავთვალავს, უკვე მიხვდით, რომ განწირულნი ვიყავით...

თამაშის შემდეგ იუჟევი შემოვიდა გასახდელში და ფინალში გასვლა მოგვილოცა. ოთარ გაბელიამ ჰკითხა - ალბათ კმაყოფილი ბრძანდებით

ფინალი, ფინალი!... კვანთის თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები კოლნის პალატაში წაბარეს პერსის კვანთის თასის მფლობელთა თასის პანთეონით ნახვარფინალში მატჩი ადგილობრივ „ფიქსურის“

დღეს — ოფსაიდს ოფსაიდზე აღნიშნავდნენ.

„ლელო“ - 25.04.1981

ნამახრავს

ჯანსუღ ჩარკვიანი:

თამაშის დამთავრების შემდეგ გასახდელში ჩავცვივდით, ცალკე ფინალში გასვლის სიხარულით და ცალკე მსაჯთა უსამართლობით გულგაგებულ ტირილი გვინდოდა და... გული სიმღერით მოვიხვით. „ცისფერმა ტრიომ“ და ანსამბლ „ივერიის“ ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბასილაიამ გამარჯვების „მრავალფაშიერი“ დააგუჟუნეს, ყველა აფეხვით. ბიჭები გასახდელში იყვნენ, მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ, ვეხვეოდით, ვულოცავდით, ვკოცნიდით... ამის მოგონება ახლაც ურუანტელს მგვრის. ის „მრავალფაშიერი“, ალბათ, ჩვენი ცხოვრების საუკეთესო „მრავალფაშიერი“ დარჩება.

მერე ყიფიანი მოვიდა და შემოგვიჩივლა:

— ნახეთ რა მიქნეს, შხამიანი ბუცები ეცვით თუ რა იყო? — დათოს დასერილ და დაღურჯებულ ფეხებს რომ დაგხედეთ, ელდა გვეცა.

„ლელო“ - 06.05.1981

მსაჯობის „ობიექტურობით“? - იუჟეკს არაფერი უპასუხია, მხოლოდ განითვლდა, დიხს, განითვლდა და სასწრაფოდ დატოვა გასახდელი...

შაბათის სამსაათიანი შესანიშნავი საფეხბურთო ტელედაცემა მახსენდება. იმ გადაცემაში ფეხბურთის საბჭოთა სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ უცხოელი მსაჯების არაობიექტურობას. კარგი იქნება, ზოგიერთი ჩვენებური მსაჯის არაობიექტურობასაც თუ ასე გულწრფელად ამხელენ ხოლმე ფეხბურთის პატივცემული სპეციალისტები, იმ პრინციპით, მოყვარეს პირში უძრახე... თორემ მტრის და დუშმანს რამდენიც გინდა უძრახე გენბავთ, პირში და გენბავთ ზურგს უკან, იმისათვის სულ ერთია, იმან თავისი „შავი საქმე“ გააკეთა და არის ახლა მშვიდად საკუთარ სახლში. განმკითხავი არავინაა ჰყავს.

ახლა გაბელის მოხელთებას ვცდილობთ...

აუჰ, რამხელა სიხარულია! ფეხბურთელებს ეხვევიან, კოცნიან... როგორ გინდა ახლა ვინმეს მიეკარო ინტერვიუს ასაღებად ამ „სიხარულის ზღვაში“.

შაბათს რედაქციაში ვმსჯელობდით, ერთი კაცი ნასულიყო თუ ორი აეროპორტში მასალის მოსამზადებლად. ახლა ვნახობ „ლელოს“ მთელი შტატი რომ აქ არ არის. განა ერთ საგაზეთო წერილში შეიძლება ახლანდელი ბენეფიციარის ჩატევა? ფეხბურთელები ნათესავებმა, მეგობრებმა მანქანებში ჩაისვეს, ზოგი „დინამოს“ იკარუსში მოთავსდა და ეს მოხუცი კოლონ ბაირალებით და ტრანსპარანტებით დაძრა შინისკენ...

ერთხელ რედაქციაში რამდენიმე ანალოგიური ხასიათის წერილი მოვიდა:

„რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, ეს ფეხბურთი! ღირს კი ამდენი დავიდარაბოს, აფიოტაჟის, ხმაურის ატეხვად? ბურთი მრგვალია, ხან იქით გადაგორდება და ხან აქეთ ვადმოგორდება, რა მოხდა ბოლოს და ბოლოს, ამისათვის?“

ის წერილები რედაქტორმა მე დამეწერა. პასუხი არ გავეცი... ან რა უნდა მეპასუხა. უფრაში შევინახე... დე, ამ სტატიის დაბოლოება ყოფილიყო იმ წერილების პასუხი... და თუ „რა გახდა ეს ფეხბურთი?“ მათ ვიპასუხო, აეროპორტში სიხარულის ცრემლით რომ ტიროდნენ, ყველა იმ ქართველმა გიპასუხოთ, ვინც 22 აპრილს შუალამის „დინამოს“ გამარჯვებას შეიმობდა...

ჰკითხეთ და ალბათ უსათუოდ გიპასუხებენ...

თამაზ ჭიჭივილი, „ლელო“ - 28.04.1981



რომა

# პიანინი: ზემანს პერაფერი ბავუბატი

## ამ რომას ბავრი ზეუქლია...



მირალემ პიანინი

„კორიერა დელო სპორტის“ ურნალისტი „რომას“ 23 წლის ნახევარმცველ მირალემ პიანინს გაესაუბრა და რამდენიმე საინტერესო კითხვა დაუსვა... დედაქალაქური გუნდი დიდად ვერ ბრწყინავს და ბოლოს, სულაც „პესკარასთან“ დაკარგა ქულები, მაგრამ სამაგიეროდ, იტალიის თასის ფინალში გასული და ტროფეის მოგების შანსი აქვს. ამ ყველაფერზე ბლიც-ინტერვიუში...

- რა მოხდა „პესკარასთან“ შეხვედრაში?  
- ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ფაქტობრივად ხშირად კარგავენ ქულებს. უამრავი მომენტი შევქმენით, მთელი თამაში მეტოქის კარს დატრიალებდით და მიუხედავად ამისა, ორი ქულა დავკარგეთ. მართალია, „პესკარა“

- ჩვენი მიზანი ევროპის ლიგის საფეხურის მოპოვებაა და ამ ამოცანის მიღწევა ორი გზით შეგვიძლია: ჩემპიონატში მაღალი ადგილის დაკავებით და იტალიის თასის მოგებით. იმედია, ოროვეს შევძლებთ და ასეთ შემთხვევაში, სეზონი წარმატებულად ჩაითვლება.

- თასის ფინალში „ლაციოს“ ხვდებით და ამბობენ, რომ ეს მატჩი შესაძლოა პეკინში გაიმართოს...

- ეს სრული სისულელე იქნება, რადგან ამხელა გზაზე ფრენის ვერავითარ აუცილებლობას ვერ ვხედავ. „რომაში“ და „ლაციოში“ გამარჯვებული „სტადიო ოლიმპიკოზე“ უნდა გაარკვიონ. ეს იქნება უდიდესი ჯახი, რომელსაც მოუთმენლად ველოდებო.

- მაგრამ, ხომ გახსოვთ რა მოხდა რომის ქუჩებში ბოლო დერბის წინ?

- კი, მაგრამ როდემდე უნდა ვემართოთ ერთმანეთს? - მომდევნო სეზონში კიდევ მინიმუმ ორჯერ მოვიხვედრებოქნება და მაშინ, ის მატჩებიც ჩინეთში გადავიტანოთ. უსაფრთხოების ზომები უნდა გამკაცრდეს და ყველაფერი კარგად იქნება.

- ამბობენ, რომ თქვენი გადაბირება „მანჩესტერ სიტის“ სურს, მართალია?

- მითხარით ერთი ფეხბურთელი, რომლის გადაბირებაც „მანჩესტერ სიტის“ არ სურს... ეს მხოლოდ ხმები და მეტი არაფერი. ინგლისიდან არავინ შემხმიავენია და რომც დამირეკონ, ჩემი ნაყვანა ძალიან გაუჭირდებათ. რომში თავს საუცხოოდ ვგრძნობ და აქ კიდევ დიდხანს ვაპირებ დარჩენას.

ლაშა ნიკლაური

იუვენტუსი

# ბუბარა ქალბატონა მიზანში ზღაბანი ამოიღო

## შვედის სატყუარა: 7 მილიონი ევრო სეზონში

იტალიურ სპორტულ პრესაში სულ უფრო ხშირად იწერება ზღატან იბრაჰიმოვიჩის ტურინის „იუვენტუსში“ შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით. მართალია, 31 წლის ფორვარდს ფრანგულ პსჟ-სთან კიდევ რამდენიმეწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ამბობენ, რომ პარიზში თავს ცუდად გრძნობს და გარემოს გამოცვლას ეშურება. გამომდინარე აქედან, ფრანგები შესაძლოა იძულებულნი გახდნენ ზღატანი ტრანსფერზე დააყენონ, რადგან რა კონტრაქტიც არ უნდა იყოს გაფორმებული, ძალით ფეხბურთის თამაშს ვერაყის დააძალე. მოკლედ, ტურინელები ამ გარემოებით სარგებლობას აპირებენ და როგორც ამბობენ, უკვე წამოიწყეს კი-

დეც მოლაპარაკება იბრაჰიმოვიჩთან. „გაძევა დელო სპორტის“ მტკიცებით, ტურინელები მზად არიან შევდ თავდამსხმელს სეზონურად 7 მილიონი ევრო და პლუს სხვადასხვაგვარი ბონუსები შესთავაზონ. ცნობისთვის, პსჟ-ში ზღატანი წლიურად 12 მილიონ ევროს იღებს. მოკლედ, თუ იბრას წამდვილად უნდა საფრანგეთის დატოვება და ტურინისკენ მიუწევს გული, ხელფასის გვარიანად შემცირებაზე მოუწევს დათანხმება.

იბრას „იუვენტუსში“ შესაძლო გადაბარების თემას, ტურინული გრანდის ყოფილი ფორვარდი ჯანლუკა ვიალი გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა: „ზღატანის „ვეკია სენიორაში“ დაბრუ-


ნება ძალიან გამახარებს, რადგან ამ გუნდს დღემდე ვგულშემამტკივრობ. ვფიქრობ, ეს სავსებით შესაძლებელია და იმედია, ტრანსფერი შედგება. ზღატან იბრაჰიმოვიჩი „იუვენს“ ყველა პრობლემას მოაგვარებდა შეტყვის ხაზში და შესაბამისად, გუნდი მნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა. ედინსონ კავანი? - მისი პლუსი ასაკია, მაგრამ სხვა მხრივ, მე შევდს მივანიჭებდი უპირატესობას. ურუგვაელი უფრო დამკვირვებელია, იბრას კი სიღრმეიდანაც შეუძლია თამაში და თანაც, არავის ზე ნაკლებად. დიდი იმედი მაქვს, რომ აღნიშნული ტრანსფერი შედგება“.

ლაშა ნიკლაური



ზღატან იბრაჰიმოვიჩი „იუვენტუსში“ 2004-2006 წლებში ასპარეზობდა

სკანდალი



ლუის სუარესი მკაცრად დასაჯეს

ბუმინ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის დამოუკიდებელმა კომისიამ ბრანისლავ ივანოვიჩზე არასპორტული თავდასხმის გამო ლუის სუარესს 10-თამაშიანი დისკვალიფიკაცია მისცა. საფეხბურთო ექსპერტების ვარაუდით, მას სეზონის ბოლომდე (4 თამაში) დასჯიდნენ. ზოგი კი ვარაუდობდა, რომ მას 6-7 მატჩით ჩამოაშორებდნენ მინდორს. ასეთ მკაცრ სასჯელს არავინ ელოდა.

კოზიკია

# პერინს ბრანდუბი არ უნდა მთავარი სათამაშო პრამტიკაა



პრამტიკულად გადანყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონში „პესკარა“ სერია B-ში იასპარეზებს. შესაბამისად, ამ გუნდის გამორჩეულ ფეხბურთელებს სხვადასხვა კლუბის წარმომადგენლები აკვირდებიან და მათი გადაბირება აქედანვე სურთ. ყველაზე მოთხოვნადი მანინც მკაცრე მატია პერინია, რომელიც მხოლოდ 20 წლისაა და იტალიაში დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. პერინი „ჯენოას“ საკუთრებაა და დაინტერესებულ კლუბებსაც გენუელელთან უწევთ მოლაპარაკების წარმოება.

ბოლო დღეებში, აქტიურად საუბ-

ლაშა ნიკლაური

რასიზმი

# იუვე სანქციას ეთანხმება და ვაი-გულზემატკივრებს ემიჯნება

სამრბა A-ს გასული ტურის ცენტრალურ შეხვედრაში, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ „იუვენტუსი“ და „მილანი“ წარსდგნენ, ტურინელი გულშემამტკივრების მხრიდან რასისტულ გამოხდომებს ჰქონდა ადგილი. „ბიანკონერის“ ტოფოზებმა მილანელი კვინ პრინს ბოატენჯე შეურაცხვეს, რომელიც ადრეც არაერთხელ გამხდარა რასიზმის მსხვერპლი. გულშემამტკივართა უღირსი საქციელი ფედერკალჩომ უყურადღებოდ არ დატოვა და ტურინულ გრანდს საჯარიმო სანქცია დააკისრა 30 000 ევროს ოდენობით. „იუვე“ კიდევ კარგად გადარჩა, რადგან თავიდან გულშემამტკივართა 3-მატჩიანი დისკვალიფიკაციაზეც კი მსჯელობდნენ - ანუ, „ბიანკონერის“ ცარიელი ტრიბუნების ფონზე მოუწევდა შეხვედრების ჩატარება. როგორც ჩანს, ფედერკალჩოს სადისციპლინო კომიტეტმა ტურინული კლუბის პოზიცია მოინონა და სანქციაც მნიშვნელოვნად შეარბილა... თუ რა პოზიციაზეა ლაპარაკი, ამას „იუვენტუსის“ ოფიციალური განცხადებიდან შეიტყობთ:

„მივმართავთ როგორც ფედერკალჩოს, უფავს და ფიფას, ისე ჩვენი გუნდის მილიონობით გულშემამტკივარს. ტურინის „იუვენტუსი“ აქტიურად არის ჩაბმული ანტი-რასისტულ კამპანიაში და ამ მიმართულებით, მუდმივად ატარებს ლო-

ლაშა ნიკლაური

# სუარესი 10 თამაშს გამოგოვებს

ურუგვაელს აპელაციის ვადა ხვალ ეწურება. ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სებასტიან ბაუსას თქმით კი, „ლივერპულის“ თავდამსხმელმა მასთან პირად საუბარში აღიარა, რომ ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება. „ძალიან გვინდა, რომ ფეხბურთელს ამყამინდელი მძიმე ფონი როგორმე შეეუმსუბუქეთ. მას ველაპარაკე და ვიცი, რომ ძალიან ნაწონობს ჩადენილ საქციელს. მას გულწრფელად აქვს განზრახული გამოსწორება. ჩვენი ეროვნული ნაკრების ფსიქოლოგები მზად არიან მას კვალიფიკაციური დახმარება აღმოუჩინონ. დარწმუნებული ვარ, მარტო დისკვალიფიკაცია ლუისის პრობლემებს ვერ მოაგვარებს,“ - განაცხადა ბაუსამ. სუარესს ფსიქოლოგის დახმარება სჭირდება, პირველად ეს ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა გორდონ ტეილორმა თქვა.

ლაშა ნიკლაური


რობობენ პერინის მიმართ „მილანის“ და „ნაპოლის“ დაინტერესების შესახებ. ორივე გუნდის კარს ვეჭვრანნი მკვარეები იცავენ და არცაა გასაკვირი, რომ მატია მათი ინტერესის სფეროშია მოქცეული. თუმცა, თავად მკვარე „მილანსა“ და „ნაპოლიში“ გადასვლას არ ეშურება, რაც მისი პირადი აპეტისი, მორენო როჯისგან შევიტყვევებ. „მატიას მიმართ ინტერესს „მილანი“ და „ნაპოლი“ იჩენენ, განსაკუთრებით კი ნეაპოლელები აქტიურობენ. ეს ყველაფერი მეკარის მაღალ კლასზე მოუთითებს, რაშიც ისედაც დარწმუნებული ვიყავი. მოკლედ, მატიას გადაბირება გრანდებს სურთ, მაგრამ ყველაზე საინტერესო ისაა, რომ თავად კიბრე არც „მილანში“ სურს გადასვლა და არც „ნაპოლიში“. ვალტერ მაცარის გუნდმა მორგან დე სანკტისთან ხელშეკრულება გაახანგრძლივა, რაც იმას ნიშნავს, რომ უახლოეს პერიოდში, ნეაპოლელები ნომერ პირველი მეკარე სწორედ მორგანი იქნება. მატია 20 წლისაა, მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და არა თადარიგში ვდგომა. ასე რომ, ხსენებული ტრანსფერების ალბათობა ძალიან მცირეა“.

ლაშა ნიკლაური



მანჩესტერ იანაიტედი

# სქოულზი მიღის ამჯერად უკვე საბოლოოდ



პოლ სქოულზი

დასაბუთებით თვე-ნახევრის წინ „მანჩესტერ იანაიტედის“ ვებგვერდი ირწმუნებოდა, რომ 38 წლის პოლ სქოულზს გუნდთან კონტრაქტის გახანგრძლივება ერთი წლით უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დამსახურებული ვეტერანის მკურნალობამ დაგეგმილზე ბევრად უფრო დიდი დრო წაიღო და როგორც ჩანს, საბოლოო გადაწყვეტილებაზე სერიოზული გაჯღენა იქონია. შეგახსენებთ, რომ მუხლის

პრობლემების გამო პოლს დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია. „გარდიაის“ ცნობით, სქოულზმა ფეხბურთიდან მეორედ წასვლა (ამჯერად საბოლოოდ) უკვე გადაწყვიტა და მალე ამას პირადად დაადასტურებს. ნახევარმცველმა პირველად კარიერა 2011 წლის ზაფხულზე დაასრულა, მაგრამ „იუნაიტედს“ 6 თვეში დაუბრუნდა. ასაკისა და სხვა ობიექტური მიზეზების გამო მას ხშირად თამაში არ უწევდა. პოლი, იუნაიტედის რიგებში 1993 წლიდან თამა-

შობს. მის ანგარიშზე პრემიერლიგაში ჩატარებული 497 თამაში და 107 გოლი. ფეხბურთელმა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული 11-ჯერ მოიგო, ამას გარდა მას უმარჯვია ასოციაციის თასზე (3), ლიგის თასზე (2), ინგლისის სუპერთასზე (5), ჩემპიონთა ლიგაში (2), საკონტინენტთაშორისო თასსა (1) და ფიფას მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე (1).


## მორიგი პორტუგალიელი მანჩესტერის

„მორიის“ ინფორმაციით, „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლისაბონის „სპორტინგიდან“ გვინეური ნარმოშობის შემტევი ნახევარმცველის, 18 წლის ბრუმას შექენას აპირებს. გამოცემის ცნობით, „იუნაიტედის“ გარდა ფეხბურთელით დაინტერესებულები არიან „მანჩესტერ სიტი“ და „ლივერპულიც“. თანაც „ქალაქელებმა“ მოლაპარაკებები ლისაბონელებთან უკვე დიდი ხანია, წამოიწყეს. მიმდინარე სეზონში თინეიჯერი უფრო მეტად დუბლებში თამაშობს და „უშაქებიც“ პირველ ეტაპზე მას რეზერვისტებში უპირებენ გამწესებას. **აქეს ფერგიუსონი** მზადაა, პორტუგალიელში 3 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. შეგახსენებთ, რომ მანკუნინელებს ლისაბონელებთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვთ. ინგლისის ჩემპიონებმა თავის დროზე სწორედ „სპორტინგიდან“ შეიძინეს კრიშტიანო რონალდო და ლუიშ ნანიც. „ლომებს“ სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ, რის გამოც იძულებულნი არიან, წამყვანი ფეხბურთელების მიერ ვაგუფს გამოეთხოვონ.

## ზაიმი 13 მაისს

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ვებგვერდის ცნობით, კლუბი საჩემპიონო მარშის ჩატარებას 13 მაისს გეგმავს. საზეიმო ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს გუნდის უკლებლივ ყველა ფეხბურთელი. ღონისძიების დეტალებზე წყარო ჯერჯერობით არაფერს იუნყება.

ჩელსი



ეს ფოტო, რა თქმა უნდა, ხელოვნურად არის შექმნილი, თუმცა მომავალ სეზონში შეიძლება ზუსტად ასევე მოხდეს

# პლუს ფალკაო, მინუს ბორკაი

## სამაურიანი ტრანსფერები ჩელსის სასარგებლოდ

„დეილი მილი“ ინფორმაციით, „ჩელსი“ მზადაა, მადრიდის „ატლეტიკოს“ რადამელ ფალკაოში 46 მილიონი ფუნტი გადაუხადოს. სწორედ ეს თანხა უნერია 27 წლის კოლუმბიელ ვარსკვლავს კონტრაქტში. ამასთან, ლონდონელები მზად არიან, „როხიბლანკოს“ 20 წლის მეკარე ტიბო კურტუა კიდევ ერთი წლით დაუთმონ. ფალკაოს რაც შეეხება, „ჩელსი“ მას კვირაში 200 ათას ფუნტს სთავაზობს. მადრიდელთა პასუხი შეთავაზებაზე ჯერჯერობით უცნობია. იმ შემთხვევაში, თუკი ფალკაო „სტემფორდ ბრიჯზე“ აღმოჩნდება, **ფერნანდო ტორესი** გუნდში აღარ დარჩება. იტალიური პრესის ცნობით, 29 წლის ესპანელის შემენით ყველაზე მეტად „ფიორენტინა“ დაინტერესებულია, ვინც თავის მხრივ **სტევენ იოვეტინის** პოტენციურ შემცვლელს ეძებს. ფლორენციული კლუბის ესპანელი სკაუტი **ედუარდო მასია** ამ დღეებში ლონდონს ეწვია, რათა მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი გაემართა. მასიას „ელ ნინოსთან“ შესანიშნავი ურთიერთობა აქვს, რადგან თავის დროზე ის „ლივერპულიც“ მუშაობდა. მიმდინარე სეზონში ტორესი ცუდად თამაშობს. მის ანგარიშზე ჩემპიონატში სულ 6 გოლია, მაგრამ აქედან უკანასკნელი მან 2012 წლის 23 დეკემბერს „ასტონ ვილას“ გაუტანა.

## ბარის არ ეზინია

„ჩელსის“ 32 წლის კაპიტან ჯონ ტერის კლუბთან ხელშეკრულება 2014 წლის ზაფხულზე ეწურება. ჯერჯერობით მოლაპარაკება თანამშრომლობის გაგრძელებაზე არ დაწყებულა (მიუხედავად იმისა, რომ მარტის ბოლოს იყო დაგეგმილი), მაგრამ ფეხბურთელის აგენტის თქმით, მისი კლიენტი ამის გამო სულაც არ ნერვიულობს. „გულშემოტკივარს“ უნდა ესმოდეს, რომ კლუბთან ხელშეკრულება კიდევ ერთი წლით მაკავშირებს. შესაძლოა, ვილაც ამის გამო ნერვიულობს კიდევ, მაგრამ მე ვიცი, რომ მოლაპარაკებებს სეზონის დასრულებისთანავე დავიწყებთ. მიუხედავად იმისა, რა შედეგით დასრულდება, გუნდში ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე დარჩენას ვაპირებ. პროცესის გაჭიანურების მიზეზი ყველამ იცით, ჩემი ჯამრთელობის არადამაკავყოფილებელი მდგომარეობა და „ჩელსის“ გადატვირთული კალენდარი. მიუღოს ის პერიოდი, როცა მოედანზე გასვლას ვერ ვახერხებდი, სატრენაჟორო დარბაზში ინდივიდუალურად ვმუშავებდი და ძალიანაც მეუცნაურებოდა, რადგან ჩემთვის ეს პირველი სერიოზული ტრავმა იყო კარიერაში. რაც მთავარია, ამ ეტაპზე ყველაფერი კარგად მიდის, - აცხადებს ტერი.

ლივერპული

# კაპიტანს ოპერაცია ელის

„ლივერპული“ 32 წლის კაპიტან სტივენ ჯერარდს სეზონის დასრულებისთანავე მარცხენა მხარზე ოპერაციას გაუკეთებენ. ვეტერანს ეს პრობლემა უკვე რამდენიმე თვეა, რაც სერიოზულად აწუხებს. ინგლისის ნაკრების კაპიტანი **როი ჰოჯსონს** 29 მაისს ირლანდიისა და 2 ივნისს ბრაზილიის ეროვნულ გუნდებთან ვერ დაეხმარება. ექიმების წინასწარი პროგნოზით, სტივის რეაბილიტაციისთვის 6-დან 8 კვირამდე დასჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ის 2013/14 წლების სეზონისთვის მისამზადებელი შეკრების პირველ ეტაპსაც დააკლდება. ივლისში მერსისაიდელები აზიასა და ავსტრალიაში აპირებენ გამგზავრებას. სტივი გუნდთან ერთად იქნება, მაგრამ მოახერხებს თუ არა ის ვარჯიშს, წინასწარ ამის თქმა ძალიან ძნელია. მეორე მხრივ სამედიცინო შტაბი ირწმუნება, რომ 3 აგვისტოს, „ენფილდზე“ საბერძნეთის ჩემპიონ პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“ ჯერარდის საპატივცემულოდ გამართული შეხვედრისთვის ის მწყობრში იქნება.


უამად „ვესტ ბრომვიჩში“ მოასპარევე რომელუ ლუკაკუზე. პრემიერლიგაში 19 წლის ბელგიელის ანგარიშზე 14 გოლია. მას ლონდონელებთან ხელშეკრულება 2016 წლის ზაფხულამდე აკავშირებს, თუმცა რაკი „ჩელსი“ უფრო მაღალი რანგის ვარსკვლავებს უმიზნებს, ნესით, ლუკაკუს იოლად უნდა შეელოს.

## მოთიხაბა, აბოვაბო

„ლივერპულის“ ვებგვერდთან ინტერვიუში მერსისაიდელთათვის ლეგენდარულმა ფეხბურთელმა, 41 წლის **სტივ მაკმანამანმა** „ენფილდზე“ ბრენდან როჯერსის პირველი სეზონი შეაფასა. აი, რას ამბობს ის: - ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ პროგრესი დავინახოთ. ფაქ-

ტია, რომ ბოლო წლებში ჩვენ წამყვან ინგლისურ კლუბებს სერიოზულად ჩამოვრჩით. ის რომ, გულშემატკივრებს ძალიან გვინდა, რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას ეს სხვაობა, ერთია, მეორე მხრივ კი სერიოზული მოთმინება გვჭირდება, რომ მიზანს მივაღწიოთ. „იუნაიტედის“ „სიტისა“ და „ჩელსის“ წინააღმდეგ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ „ვესტ ჰემთან“ და „რედინგთან“ ფრეებმა საქმე გაკვირთულა. გულშემატკივრებს ეს სიმბეჭოვითაა ძლიერი მეტოქეების წინააღმდეგ როგორ ვითამაშობდით, მაგრამ ამ დონეს ჯერ კიდევ უნდა მივალწიოთ. დარჩენილ შეხვედრებში იდეალური იქნება, თუკი ფეხბურთელები გულშემატკივარს უჩვენებენ იმას, რისი წყალობითაც ისინი მომდევნო სეზონის წინ იმედთან განწყობიან.

ამბაზი



## პაპის სისუსე პრობლემა

„მირორის“ ცნობით, „ნიუკასლის“ 27 წლის თავდამსხმელმა **პაპის სისემ** შესაძლოა სეზონის დარჩენილ ნაწილში მთლიანად გამოტოვოს. მიზეზი 4 აპრილს „ბენფიკასთან“ გასვლით შეხვედრაში გატყეობით თამაშობს. ხოლო, რაც „კაქაქაქებმა“ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება პრაქტიკულად გაინადღეს, კლუბმა ფეხბურთელი პარიზში გამოკვლევაზე გააგზავნა. ფრანგი ექიმების პასუხი მხოლოდ რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

## სუბარს სასჯალი ელის

„ინდეპენდენტი“ ცნობით, „ქუინზ პარკი“ 33 წლის **ფულიო სუბარის** დასჯას აპირებს. „რინჯერები“ ფეხბურთელის მიერ ინტერნეტში საჯაროდ გამოფენილი ფოტოს გამო არიან აღშფოთებულნი. საქმე იმაშია, რომ ბრაზილიელი მასზე „ჩელსის“ მაისურშია გამოწყობილი. სამხრეთამერიკელმა ეს 22 აპრილს **დავიდ ლუისის** დაბადების დღეზე გააკეთა. რამდენიმე დღეში ეს ფოტო სოციალურ ქსელებში მოხვდა. კლუბმა ფეხბურთელს უკვე აცნობა ოფიციალურად, რომ მის დაჯარმებას აპირებს. „მინდა „ქუინზ პარკის“ გულშემატკივარს განვუმატო, რომ დავიდის დაბადების დღეზე მასკარადი მოეწყო. მისი ხათრით მე და ჩემი ოჯახის წევრებმა მასთან ერთად „ჩელსის“ მაისურები ჩავიცვიოთ. დამერწმუნეთ, ნამდვილად არ მსურდა ვინმესთვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, - აცხადებს ფულიო სუბარი.


## მუხარა შეიძლება კვირად დაუჯდეს

13 აპრილს „არსენალთან“ 1:3-ის შემდეგ „ნორვიჩის“ 23 წლის ცენტრალური მცველი **რაიან ბენეტი** „მეთოფეთა“ გულშემატკივრებმა „ტვიტერზე“ სასტიკად შეურაცხვეს, რის გამოც ფეხბურთელმა ერთ-ერთ მათგანს მისწერა, შემძლია ერთ ნაშბი მოგკლაო. მან მოგვიანებით არათუ აღნიშნული წარწერა, საკუთარი ექაუნთიც კი წაშალა, მაგრამ ხმებმა საფეხბურთო ასოციაციამდე მაინც მიიღწია. ბენეტის საქმეს სპეციალური კომისია უახლოეს დღეებში შეისწავლის.

ხილავ ერთხალ:

## ჩელსიდან ლივერპულში

„ლივერპულმა“ იანერის სატრანსფერი ფანჯრისას „ჩელსიდან“ 23 წლის **დენიელ სტარიჯი** 15 მილიონ ევროდ შეიძინა. თავდამსხმელი მერსისაიდელთა რიგებში შესანიშნავად ათამაშდა (15 შეხვედრაში 5 გოლი, 2 საგოლე გადაცემა). ინგლისელი ჟურნალისტების ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, „ნითლებმა“ „ჩელსისგან“ ამ ზაფხულს კიდევ ერთი თავდამსხმელი შეიძინონ. ლაპარაკია ამ-



სტივ ჯერარდს მხარის სეზონის დაწყებიდან აწუხებს

გაყიდვასია აკრილის ნოვარი!



● ევროპალიგა. 1/2-ფინალი. | მატჩები



„ფენერბაჰჩე“ შეტევისას ლიდერი შოლანდელი დიკ კუიტისა

## ჩელსის უნიკალური შანსი და ბენფიკას სანუკვარი ამსტერდამი

თურქები და შვეიცარიელებიც დიდ გულზე არიან

25 აპრილი	
<b>ბაზელი-ჩელსი</b>	23:05
დისკვალიფიკაცია: ბა (ამ ტურნირში მონაწილეობის უფლება არ აქვს)	
ტრავმა: დეგენი (?) - ოსკარი (?)	
<b>შენარჩუნებული-ბენფიკა</b>	23:05
დისკვალიფიკაცია: არავინ	
ტრავმა: გარაი (ბენ) (?)	

სტამბოლში ალბათ, „ბენფიკას“ მიერ ლისაბონის დერბოში გატანილი სუპერგოლის გამო იმტვერევენ თავს, როგორ შეაჩერონ პორტუგალიელთა ზეკომბინაციური ფეხბურთი; ხოლო შვეიცარიაში „ბაზელს“ ტრიბუნებიდან თვით როჯერ ფედერერი უგულუმეტაკიერებს „ჩელსის“ წინააღმდეგ - დღეს ევროპალიგის ნახევარფინალური სტადია იწყება...

### რაბივ გავისხანოთ

ფერნანდო ტორესი ამბობს, რომ ევროპალიგის გამო „ჩელსიში“ კარგი განწყობა შენარჩუნებულია. ესპანელი ფორვარდი ცამდე მართალია: რომ არა ამ ტიტულის მოპოვების შანსი, ლონდონელებს მხოლოდ მომავალი სეზონის ევროსაგზურისთვის ბრძოლა შერჩებოდათ. ახლა კი რაფა ბენიტესს შეუძლია უნიკალურ რამეს მიაღწიოს - თუ „ჩელსი“ ტიტულს მოიგებს, 15-დან 25 მაისამდე „ჩელსი“ ერთდროულად ორივე ევროთასის მფლობელი იქნება.

მურატ იაკინის გუნდმა უკვე შეინარა ერთი ლონდონური კლუბი - „ტოტენჰემი“ და ახლა რაფა ბენიტესის „ჩელსის“ მიადგა. „ბაზელისთვის“ ამ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, კლუბი ისტორიაში პირველად არის ევროთასების ნახევარფინალში. მასპინძლებს მხოლოდ ერთი ფეხბურთელი ჰყავთ ტრავმირებული - ფილიპ დეგენი, თუმცა თამაშის შანსი მასაც არ დაუკარგავს.

ბენიტესს ორი მცველი გამოუჯანმრთელდა, ეშლი კოული და გარი კეპილი. პირველს აპრილში საერთოდ არ უთამაშია, მეორემ კი 30 მარტს მცირე ოპერაციაც კი გადაიტანა. „ლივერპულთან“ ბრაზილიელმა ოსკარმა ტრავმა მიიღო, თუმცა არც ისე რთული.

შეგახსენებთ, რომ დეგმა ბას ევროპალიგაში თამაშის უფლება არა აქვს.

\* „სტ იაკობზე“ „ბაზელი“ 2013 წელს დაუმარცხებელია.

\* სტანდარტული მდგომარეობებიდან ევროპალიგაზე ყველაზე მეტი გოლი გაიტანა „ბაზელმა“ - 7.

\* „ბაზელმა“ ინგლისურ კლუბებთან ბოლო 4 შეხვედრაში („მანჩესტერ იუნაიტედთან“ და „ტოტენჰემთან“) ნაუ-

გებლად ითამაშა, თან მეტოქეს თამაშში 2 გოლი მაინც გაუტანა.

\* ევროპალიგაში შვეიცარიული კლუბი ყველაზე უდისციპლინოა - 3 გაძევება და 27 ფაფრთხილება.

\* „ჩელსი“ ევროთასებზე მხოლოდ ერთხელ შეხვდა შვეიცარიულ ოპონენტს, „სენტ გალენს“ და 2000 წლის სექტემბერში ორი მატჩის ჯამში დამარცხდა. შვეიცარიულ დაპირისპირებაში „ჩელსის“ რიგებში რატი ალექსიძემ ითამაშა (მეტჯერ ევროთასებზე რატის „ჩელსის“ მაისურა არ მოუტრია).

\* ევროპალიგის ბოლოს სამ მატჩში ფერნანდო ტორესის ანგარიშზე 4 გოლია.

### საპარაულეო შედეგებზე

ბაზელი: ზომერი - შტაინჰოფერი, დეგენი, დრაგოვიჩი, სხაარი - სალაპი, კაბრალი, ფ. ფრაი, შტოკერი - შტრელერი, ბობადილია.

ჩელსი: ჩეხი - ასპლიკუეტა, ტერი, კეპილი, ბერტრანდი - მოხესი, ლამპარდი, რამირესი, ოსკარი, მატა - ტორესი.

### გაქდაუდაბლნი

„ბენფიკას“ ბრწყინვალე სეზონი აქვს, ყოველ შეხვედრაში გუნდის ბოლო წინააღმდეგობა ამსტერდამ არენამდე თურქული „ფენერბაჰჩე“. სტამბოლელთა მწვრთნელ აიკუტ კოჯამანს არ აქვს პრობლემები შემადგენლობის მხრივ. შეტევაში ისევ დიკ კუიტისა და პიერ ვებოს წყვილი ითამაშებს.

„სპორტივთან“ თამაშში მცირე ტრავმა მიიღო ესეკილ გარამი, თუმცა არგენტინელმა შეძლო გამოჯანმრთელება.

\* „ფენერბაჰჩე“ ევროთასების ნახევარფინალში პირველად თამაშობს.

\* 2013 წელს „ფენერმა“ არ წააგო არც ერთი თამაში ევროპალიგაზე (3 მოგება, 3 ფრე).

\* „ბენფიკა“ ერთადერთი გუნდია ევროპალიგაზე შემორჩენილთაგან, რომელიც ნაუგებლად თამაშობს.

\* „ბენფიკასთვის“ ამსტერდამში ფინალის თამაში ძალზე მნიშვნელოვანია - სწორედ იქ 1962 წელს, პორტუგალიურმა კლუბმა მაადრიდის „რეალი“ დაამარცხა.

### საპარაულეო შედეგებზე

ფენერბაჰჩე: ვოლკანი - გიონული, იობო, კორკმაზი, ციგლერი - მეირელი, შაჰინი, ბარონი - ერკინი - კუიტი, ვებო.

ბენფიკა: არტური - პერეირა, ლუიზაო, გარაი, მელგარეჟო - მატჩი, პერესი - სალივი, ლიმა, გაიტანი - კარდოსო.

ნიკოლოზ ნაწარჩია

● ჩამპიონთა ლიგა. 1/2-ფინალი. | მატჩები

## ქალიან ახლოს სრულ ბედნიერებასთან

**ბორუსია-რეალი 4:1**  
 გოლები: 1:0 ლევანდოსკი (8), 1:1 რონალდო (43), 2:1 ლევანდოსკი (50), 3:1 ლევანდოსკი (55), 4:1 ლევანდოსკი (66-პენ)  
 ბორუსია (4-2-3-1): ვაიდენფელერი - პიმჩეი (83. გროსკროიცი), სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - გიუნდოგანი (90. შიბერი), ბენდერი - როისი, გიოტცე, ბლაშიკოვსკი (82. კელი) - ლევანდოსკი  
 რეალი (4-2-3-1): ლოპესი - რამოს?, გარანი, პეპე, კოენტრალ - ხედირა, ალინსო (80. კაკა) - იოზილი, მოდრიჩი (68. დი მარია), რონალდო - იგუაინი (68. ბენზემა)  
 გაფრთხილება: ლევანდოსკი - ხედირა, იოზილი, რამოსი  
 კარში დატყვმა: 9-7 (7-4) კუთხური: 4-2  
 თამაშგარე: 3-5 ჯარიმა: 12-13 ბურთის ფლობა: 49%-51%  
 მაყურებელი: 65 829

ფასი შესძინა. რის ხარჯზე იძალა მასპინძელმა? პირველი რიგში საოცარი ფიზიკური მომზადების, რადგან საფინანსო სასტიკებამდე წამოიყვანა არ დამდგარა ეჭვქვეშ, ეყოფოდა თუ არა ძალა „ბორუსიას“ ამხელა სამუშაოს შესასრულებლად. გადამწყვეტი როლი ითამაშეს ასევე გუნდის ლიდერებმა: **მატს ჰუმელსმა**, მიუხედავად **რონალდოს** გოლისა და მძვინკველი უხეში შეცდომისა, მთლიანობაში ფანტასტიკურად ითამაშა; **ილქი გიუნდოგანმა**, ვინც თვალსა და ხელს შუა ყალიბდება უმაღლესი კლასის პლემიეკვრად და რა თქმა უნდა, **რობერტ ლევანდოსკიმ**. პოლონელზე მთელი ტირადების წერა შეიძლება. ნუხანდელი შეხვედრისთვის ის



რეალის კარში პოკერის ავტორი რობერტ ლევანდოსკი

დიდი ფეხბურთის დასრულებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ ასეთი დონის შეხვედრის შეჯამება რთული ამოცანაა. დაინწყებთ იქიდან, რომ „ბორუსიას“ გამარჯვება 100%-ით დამსახურებულად მიგვაჩნია. არ გვგონია, ამაზე ორი აზრი არსებობდეს. „ბაიერნი“-„პარსასგან“ განსხვავებით გუშინ მსაჯობა იდეალურთან მიახლოებული იყო. **ბიორნი კუიპერსმა** თამაშს კიდევ უფრო მეტი

რამდენიც არ უნდა ვაქოთ, ზედმეტი ნამდვილად არ იქნება. ბოლოს კი დავძენთ, რომ რურელები „უემბლის“ საგზურთან ქალიან ახლოს დგანან, მაგრამ განადგებულ ნამდვილად არაფერი აქვთ. ვილაცამ შეიძლება შაბლონურობაში დაგვდოს ბრალი, მაგრამ ლონდონამდე გერმანელებს წინ კიდევ დაძაბული 90 წუთი აქვთ გადასატანი.

ლევან ბიბილაშვილი



ერთხელ კრიშტიანო რონალდოსაც გაუხარდა

# ფანტაზიაში!



**„ბაიერნი“** წელს საოცარი გუნდია, ზღაპრულად თამაშობს და მკაფიოდ ამარტობს ყველას, ვინც გადაულობნება. „ბარსელონასთან“ 4:0-ის შემდეგ კი რეკორდმაისტერს უკვე ყველა სრულყოფილ გუნდს უწოდებს, რაც აბსოლუტურად ლოგიკური მოვლენაა, მაგრამ ლოგიკურადვე განხილვად უფრო და უფრო აქტუალური ხდება კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენად დარწმუნებულია „ბაიერნი“ პეკ გარდოლისად...

**ბაიერნი-ბარსელონა 4:0**  
 გოლები: 1:0 თ. მიულერი (25), 2:0 გომესი (49), 3:0 რობენი (73), 4:0 თ. მიულერი (82)  
 ბაიერნი (4-2-3-1): ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალბა - ხავი მარტინესი, შვანი-შტაიგერი - რობენი, თ. მიულერი (83, პისარო), რიბერი (89, შაირი) - გომესი (71, ლუის გუსტაო).  
 ბარსელონა (4-1-2-3): ვიქტორ ვალდესი - დანი ალვესი, ბარტრა, პიკე, ალბა - ბუსკეტსი - ჩავი, ინესტა - პედრო (83, ვილია), მესი, სანჩესი.  
 გაფრთხილება: გომესი, ხავი მარტინესი, შვანიშტაიგერი - ბარტრა, სანჩესი, ალბა, ინესტა  
 მაყურებელი: 68 000

## რეაქცია

**თომას მიულერი (ბაიერნი):** „ჩემზე ამბობენ, მსუბუქი პიროვნებააო. არ ვიცი, რა იგულისხმება სიმსუბუქეში, მაგრამ ფაქტია, რომ ერთი შეხედვით იოლმატ-ჩემში ხშირად არცისე კარგად ვითამაშობ ხოლმე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან შეხვედრებში ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესო ვარ. ვიცი, რომ ჩემს დავალებას კარგად მხოლოდ იმ შემთხვევაში შევასრულებდი, თუ ბევრს ვირბენდი. 13 კილომეტრი ერთ თამაშში ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია. 4:0 უდავოდ საოცნებო ანგარიშია - ამ გამარჯვებით ჩვენ კიდევ დიდხანს ვიამაყებით.“

**არიენ რობენი (ბაიერნი):** „დაუჯერებელია! ბოლო ხუთ წელიწადში ვეროპაში „ბარსელონა“ დომინირებდა, ყველას „ბარსა“ ეკერა პირზე... ამ გამარჯვებით შეგვიძლია მაგრად ვიამაყოთ. სხვათა შორის, ჩვენ ული ჰიონესისთვისაც მოვივით. პრეზიდენტს ამ დღეებში სამწუხარო ამბები გადახდა და ამ გამარჯვებას მასაც ვუძღვით.“

**იუპ ჰაინკესი (ბაიერნის მთავარი მწვრთნელი):** „ჩემი აზრით, „ბაიერნი“ მარტო დღეს კი არ ითამაშა არაჩვეულებრივად, არამედ ჩემი გუნდი წელს ყველა შეხვედრაში არაჩვეულებრივ ფეხბურთს აჩვენებს. ეს ყველაფერი იმის შედეგია, რომ მაგრად ვმუშაობთ როგორც მოედანზე, ისე მიედანს მიღმა. ამას ისიც ემატება, რომ ფეხბურთელები ერთმანეთს მართლა იდეალურად უკვებენ. ვისთან, თუ არა „ბარსელონასთან“ უნდა გქონდეს კონკრეტული გეგმა და სტრატეგია. ბიჭებმა ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც დავგეგმეთ და რაც ასევე მნიშვნელოვანია, მცირედენი ტექნიკური ნუნცი კი არ გქონია. ამასთან, ბევრი ვირბინეთ და მაგრად

ვირბოდით. დღეს უბრალოდ ამ გამარჯვებით დავტკბებით, ისე კი, ჩემიონთა ლიგა, რა თქმა უნდა, ვერ არ მოვკვივია. მეტიც: ჯერ ფინალშიც კი არ ვავსულვართ.“

**კარლ-ჰაინც რუმენიგე (ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტი):** „2013 წელს „ბაიერნი“ მართლაც გრანდიოზული და განუმეორებელია. ბიჭები ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობენ. ძალიან დიდი ხანია აქ ვარ და ასეთი საღამო არ მინახავს. დღეს მიუნხენის „ბაიერნი“ იდეალური, სრულყოფილი გუნდი იყო.“  
**ხავი მარტინესი (ბაიერნი):** „სხვათა შორის, ამ სეზონში ბევრი კარგი მატჩი ჩავატარეთ და არ ვარ დარწმუნებული, რომ საუკეთესო სწორედ ეს იყო. კატალონიელებს შანსი თითქმის არ ჰქონიათ, რადგან მოედნის ცენტრს ჩვენ ვაკონტროლებდით.“

**ჟერარდ პიკე (ბარსელონა):** „გერმანელებმა მაგრად გვაჯობეს, დაგვჩაგრეს! ჩვენ მაინც ვეცდებით „ნოუ კამპუზე“ სასურველი ანგარიშის დაფიქსირებას. მსაჯებზე და მსაჯობაზე ლაპარაკი საჭირო არ არის - ამ წაგებას გამართლება არა აქვს.“

**ჟორდი როურა (ბარსელონას მთ. მწვრთნელის ასისტენტი):** „ბაიერნი“ ძალიან მაგარი იყო. ზოგადად, რეკორდმაისტერი ფიზიკურად ძლიერი გუნდია და დღეს ძალის დემონსტრირება მოახდინა. პირველ ტაიმში ძალიან ცუდად არ გვითამაშა, მეორე ტაიმში მიღებული სწრაფმა გოლმა კი ჩვენზე ძალიან ცუდად იმოქმედა. ფინალში გასვლის იმედი ჯერ კიდევ გვაქვს, მაგრამ ცხადია, რომ ამისათვის სასწაული გვჭირდება.“

## შედეგები

„ბაიერნის“ ძირითადი შემადგენლობა ჩვეულებრივად თერთმეტეულისგან განსხვავებით ორ პოზიციაზე შეიცვალა: დისკვალიფიცირებული მარიაო მანჯუკიჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, მარიაო გომესმა შეცვალა, დაცვის ცენტრში კი იუპ ჰაინკესმა დანიელ ვან ბუიტენს ჟერარდ ბოატენგი ამჯობინა, რაც აბსოლუტურად ლოგიკური გახლდათ, რადგან აყლაცუნა ვან ბუიტენს „ბარსას“ მობილურ და ტექნიკურ შემტევებთან გამკლავება გაუჭირდებოდა. „ბარსელონას“ დაცვის ცენტრში პიკეს გვერდით გამოუცდელი ბარტრა ვიხილეთ, წინა ხაზზე კი ტიტო ვილანოვამ დავიდ ვილიას ალექსის სანჩესი ამჯობინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ლეო მესიმ გამოჯანმრთელება მოახსრო და სასტარტოში ვიხილეთ.

**გამრი**  
**არიენ რობენი (ბაიერნი)**  
 გაგიკვირდებათ და... დიახ, რობენი! ჰოლანდიელს ანგარიშის გახსნა ჯერ კიდევ მეორე ნუთზე მართებდა, მაგრამ დარტყმა გააჩიანურა და საერთოდ, უმ-

## მსახი

პიკემ მსაჯზე საუბარი არ ისურვა, ჩვენ კი ბევრი რამ უნდა ვთქვათ, ოღონდ, არა მარტო „ბარსას“ ფანების სამებელი. ვიქტორ კასაიმ მე-15 ნუთზე „ბარსელონას“ კარში დასანიშნი თერთმეტმეტრიანი არ დანიშნა - არადა, ლამის დარტყმის შემდეგ პიკეს ბურთი ხელზე მოხვდა. გომესისა და ბარტრასთვის ნაჩვენები გაფრთხილებები დაახლოებით ერთნაირი ჯარიმებისთვის გადაჭარბებული იყო. ამას გარდა, „ბაიერნის“ სამ (!) გოლზე კამათი შეიძლება. დანტე პირველი გოლის დროს მთლად სწვთა არ იყო, გომესი მეორე გოლის დროს თამაშეგარე მდგომარეობაში გახლდათ, მიულერმა კი მესამე გოლის დროს ალბას ბლოკი გაუკეთა. ამ ყველაფერთან ერთად, კასაის აუცილებლად უნდა გაეფეხებინა ალბა იმის გამო, რომ რობენს ბურთი სახეში მოარტყა, მაგრამ „ბარსას“ ზომბზე მეტად აღელვებულ მარტინესს მცველს მხოლოდ გაფრთხილება აკმაბრა. ერთი სიტყვით, უნგრელმა არბიტრმა და მისმა ბრიგადამ ძალიან სუსტად იმსაჯეს.

## მწვრთნელი

ჰაინკესის აბსოლუტურად ყველა ნაბიჯმა გაამართლა, ყველაზე მნიშვნელოვანი კი სტარტისთვის ბოატენგის ძირითადში გამწესება იყო, რომელმაც დაამტკიცა, რომ კონკრეტულად ამ მატჩში ვან ბუიტენს სამართლიანად ამჯობინეს. „დონ ოუპი“ შეგარდებს გასაგები ფესტივულაციებით მერად მოუწოდებდა, რომ უფრო აგრესიულად შეეტიათ. როგორც გამოჩნდა, იდეალური გადწყვეტილება იყო ისიც, რომ გომესი თამაშიდან ნ-ე ნუთზე მოხსნა, მის ნაცვლად საყრდენი ლუის გუსტაო გამოიყვანა და ცენტრფორვარდის პოზიციაზე მიულერი გადასწავა. ვილანოვას კრიტიკა ახლა ყველაზე ადვილია, მაგრამ მაინც: სანჩესის სასტარტოში გამწესებამ და ვილიას სკამზე დასმამ არ გაამართლა; ბარტრას თითქოს ცუდად არ უთამაშა, მაგრამ შეტევების ნამოწმებისას 2-3 არაზუსტი პასი გააკეთა; პედროს ნაცვლად ვილიას გამოყვანამ „ბარსას“ თამაშში ვერაფერი გააუმჯობესა. ერთი სიტყვით, ვილანოვამ თამაშის მიმდინარეობისას სასიკეთოდ ვერაფერი შეცვალა.

## რაც თვალში მოგვხვდა

რობენის მომენტის შემდეგ „ბარსელონა“ ინიციატივას დაუფლდა. ჩავიმ დაცვიდან ბურთების ამოტანა დაიწყო და უმეტესად ინიესტას ეძებდა, რომელიც ნახევრად გარემარბის პოზიციაზე ირჯებოდა.

პირველი ტაიმის პირველ ნახევარში მიუნხენელები კატალონიელებს ხშირად ზედმეტი პატივისცემით

ეკიდებოდნენ. ვერ ვიტყვით, რომ „ბაიერნი“ დაცვაში ჩაჯდა, მაგრამ ფაქტია, რომ კატალონიელებს რამდენიმე ნუთში ბურთთან ბავარიელებზე ორჯერ მეტი კონტაქტი ჰქონდათ.

მოედნის ცენტრში გაჩაღებული ბრძოლა მხოლოდ სანჩის ნუთებში ვნახეთ, რომელიც მიუნხენელებმა მოიგეს, რაც პირველ რიგში ხავი მარტინესის დამსახურებაა.

„ბაიერნის“ ფეხბურთელებმა ბრძოლას და ტემპს წელ-წელა უმატეს. რიბერი ხშირად მარტინესს მცველის პოზიციაზე გვეყვინებოდა და ალბას დანი ალვესის წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა. ასეთი თამაშით მიუნხენელები ბარსელონელებს ბურთის დაკარგვას აიძულებდნენ, რის შემდეგაც სწრაფად გადადიოდნენ შეტევაში. „ბარსელონას“ საჯარიმოსთან მიახლოების შემდეგ მიუნხენელები ან კარში შორიდანვე ურტყამდნენ, ანაც ფლანგიდან საჯარიმოში ანოდებდნენ. ამიტომაც ჩაანოვდეს პირველ ტაიმში 8 კუთხური (ბარსა - 3).

ლეო მესიმ აბსოლუტურად ვერაფერი გაანყო, მაგრამ არგენტინელზე რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა ვთქვათ: მესი ბურთის პირველად 6:19 ნუთზე შეესო და მისი თამაში მთელი 90 ნუთის განმავლობაში პროგნოზირებადი გახლდათ. ლეო თითქოს უხასიათოდ იყო. ფაქტია, რომ მან 19-დან მხოლოდ 7 ორთაბრძოლა მოიგო.

მეორე ტაიმში „ბაიერნი“ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მარტინესი და შვანიშტაიგერი ჩავის და ინიესტას უკვე მუდმივად „ფეხებზე ასხდნენ“, რეკორდმაისტერი ახლა უკვე გაცილებით კომპაქტურად იდგა. კატალონიელებმა კი ინდივიდუალურ თუ პოზიციურ შეცდომებს უმატეს.

ფეხბურთი, რომელიც „ბაიერნი“ მეორე ტაიმის მეორე ნახევარში ითამაშა, სრულყოფილი იყო. მიუნხენელებმა „ბარსა“ უშეცდომოდ დაჩაგრეს და მხოლოდ ერთი, ისიც ნახევრად მომენტი (ბარტრა) შეაქმნვეს.

## დასკვნა

ბაიერნი 4, ბარსა 0. საკმაოდ პრობლემატური პირველი ტაიმის შემდეგ, „ბაიერნი“ მეორე ნახევარში სრულყოფილი ფეხბურთი ითამაშა და ეჭვი არავცაპარება, რომ ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ გავა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. „ბარსელონას“ დიადი ეპოქა კი ალბათ მაინც მთავრდება და კატალონიურ გრანდშირალაც-რალაცები უნდა შეიცვალოს. „ბარსა“ მინიმუმ იმისთვის მაინც უნდა იყოს მზად, რომ ერთი და იმავე ფეხბურთით ყოველთვის შორს ვერ წავა. კატალონიურ სუპერგრანდში ცვლილებების დროა და ცვლილებები აუცილებლად იქნება.


გოტფრიდ ლენცი





ახსოვნი ფეხბურთი

კვირის ციფრები



რობინ ვან პერსი

კვირის დღეებში მიმოხილვაში ვისაუბრებთ იბრას მორიგ მიღწევებზე, „ვალენსიას“ საოცარ ექვსწუთეულზე, „იუნაიტედის“ მორიგ ტიტულზე და „ხალცბურგის“ ესპანელი ფორვარდის მართლაც დასამახსოვრებელ დღეზე...

სარეკორდო თანხა, მებოლე მამა და მერსე ბიჭული

„ბაიერნმა“ „შტუტგარტს“ გომესში 30 მილიონი ევრო გადაუხადა. „ბაიერნმა“ მხოლოდ სატრანსფერო ბაზარზე არ იყო ჩაბრუნებული, ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალში „ბარსელონას“ 4:0 მოუგეს და ფინალის საგზური თითქმის გაინაღდეს. ევროტურნირებზე „ბარსელონას“ ამაზე დიდი ანგარიშით არასდროს წაუგია. ბოლოს, 4-ბურთიანი სხვაობით კატალონიურმა კლუბმა 2007 წელს „ხეტაფესთან“, ესპანეთის თასის 1/2-ფინალში წააგო (0:4).

ზღვარს მიაღწია. უკანასკნელად, სეზონში 27 გოლის გატანა ჟან-პიერ პაპენმა მოახერხა (1991/92). პაპენი საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ზედიზედ ხუთჯერ გახდა, 1989/90 წლების სეზონში კი ბომბარდირის ტიტული 30 გოლით მოიპოვა.

შემდეგ, პოლანდიელს პრემიერლიგაში 120 გოლი დაუგროვდა. ვან პერსის ინგლისში გადასვლის შემდეგ (2004/05 წლების სეზონი), მასზე მეტი გოლი მხოლოდ უეინ რუნემ გაიტანა, ვის ანგარიშზეც 141 გოლია.

ბრაზილია. მტატაბის ჩემპიონატები

პლეი ოფის დრო მოვიდა

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like XIX ჯგუფი, სანტოსი-პენაპოლენსი, კორინთიანსი-ატლ. სოროკაბა, იტაპუა-პალმეირასი, იტაპუა-პალმეირასი, მირასოლი-ლინენსი, მისტა-სან ბარნარდო, სან კაბრანო-პალმეირასი, გუარან-უნიაო პარაბარენსი, XV დე პირასინკაბა-პოტაფოგო სპ.

Table with 2 columns: Team Name and Score. Includes teams like 1. სან პაულუ, 2. მირასოლი, 3. სანტოსი, 4. პენაპოლენსი, 5. კორინთიანსი, 6. პალმეირასი, 7. პოტაფოგო სპ, 8. პენაპოლენსი, 9. ლინენსი, 10. XV დე პირ., 11. ბრაზანტინო, 12. სან ბარნარდო, 13. პალმეირასი, 14. იტაპუა, 15. ატლ. სოროკაბა, 16. მისტა, 17. მირასოლი, 18. სან კაბრანო, 19. სან კაბრანო, 20. პარაბარენსი.



ნიმარია

დასრულდა პაულისტას რეგულარული ეტაპი, რომლის შედეგადაც გაირკვა ის 8 გუნდი, ვინც ჩემპიონობისთვის ბრძოლას პლეი ოფიდან გააგრძელებს. ბოლო ტურის წინ, ოქტეტში მოხვედრის შანსი „პენაპოლენსის“ ჰქონდა, მაგრამ ამ გუნდმა უმოტივაციო „სანტოსთან“ წააგო.

„ტაკა რიოს“ გათამაშებაში, პლეი ოფში გამსვლელთა ვინაობა ბოლო ტურის წინ ცნობილი იყო, გასარკვევი რჩებოდა ის, თუ ვინ ვის შეხვედებოდა. საბოლოოდ, ყველაფერი ლოკაციურად დასრულდა: „რესენდემ“ წააგო, „ფლუმინი“ მოიგო და 1/2-ფინალში პირველი ადგილით გავიდა.

ბარსელონა-ბერლინი მარცხის ქო



ფაბიო კაპელო და მარსელ დესაი 1994 წლის ფინალის შემდეგ

ბაიერნის 4:0 უღიბარული კლუბის ნეპრი გახდა

მიუნხენის „ბაიერნი“ რეკორდებს მხოლოდ ბუნდესლიგაში არ ამყარებს. სამშაბათს, „ბარსელონასთან“ გამართული მატჩი, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში შევიდა, რადგან აქამდე, ამ ტურნირის 1/2-ფინალში 4:0 არასდროს დაფიქსირებულა.

„ბარსელონა“ მიუნხენში ევროტურნირებზე 420-ე შეხვედრას მართავდა. „ალიანს არენაზე“ დაფიქსირებულ შედეგზე დიდი ანგარიშით კატალონიურ გუნდს ევროასპარეზზე არასდროს წაუგია, ამ ანგარიშით კი მათთვის დამარცხდა. მოდი, ერთად გავიხსენოთ წინა სამი შემთხვევა...

05/11/1980 - ბარსელონა-პორტო 0:4 „ბარსელონას“, უფასო თასის მეორე ეტაპის პირველი შეხვედრა, რომელიც კოლმში გაიმართა, 1:0 ჰქონდა მოგებულ. საბასუხო შეხვედრაში ყველაფერი იდეალურად იყო, სანამ სტუმართა მცველმა დიტერ პრესტიმმა ტრავმა არ მიიღო და მის ნაცვლად მინდროზე პიერ ლიტბარსკი არ გამოვიდა. 20 წლის ფეხბურთელმა შეხვედრაში გარდატეხა შეიტანა. ტაიმის დასრულებამდე 4 წუთით ადრე, ანგარიში გერდ შტრაკმა გახსნა, მეორე ტაიმში კი ლიტბარსკის ჯერი დადგა - ამომავალმა ვარსკვლავმა ერთი გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასი გააკეთა. საბოლოოდ, 0:4 და მომდევნო ეტაპზე „კიოლინი“ გავიდა, რომელსაც „ბარსელონას“ ყოფილი მესაჭე, ლეგენდარული რინუს მიხელსი ავარჯიშებდა.

რამდენიმე წუთში, დიან სავიჩევიჩმა ულმასხესი გოლი გაიტანა და გამარჯვებული ვინაობა გაარკვია. შეხვედრას ნერტილი მარსელ დესაი დაუსვა, კაპელომ კი მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ იდეალური ფეხბურთი იხილა.

18/05/1994 - მილანი-ბარსელონა 4:0 ისტორიაში პირველად, „მილანი“ ფინალური მატჩის წინ აუტსაიდერად მიჩნეოდა. ამის და რამდენიმე საკადრო პრობლემის მიუხედავად, ფაბიო კაპელო იოჰან კრუიფის „დრიმ თიმს“ არ შეუშინდა და აქცენტი თავიდანვე შეტევაზე გააკეთა. დანიელ მასარო დუბ-ბე შეასრულა და პირველი ტაიმი 2:0 დასრულდა. თამაშის განახლებიდან


„ჩვენ ვიცოდით, რომ „დინამო“ უფრო ძლიერი გუნდი იყო და ეს საქმიანობა დავამტკიცეთ. მათ, პირველ რიგში, ტაქტიკურად ვაჯობებთ. ისინი არ ელოდნენ, რომ ასე აგრესიულად შევუტყვედით და ჩვენი ტაქტიკის საწინააღმდეგოდ ვერაფერი გაანგვეს.“ - პინაცხადა მატჩის შემდეგ შევეჩვიე.

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXIII ტურის გამორთვაული მატჩები. ს. პეტიანი-აიერი 4:2, რანი-ბრუა 1:2. Includes tables for scores and player statistics.




# ქართული სპორტი

საოკი.  
მემორანდუმი



საქართველო  
GEORGIA



## ქართული ოლიმპიზმი ახარბაიჯანულ ნავთობზე

ბაშინ აზერბაიჯანის ნავთობ-კომპანიის სათავე ოფისში „სოკარ-სა“ და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი სეოკის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა და საქართველოში კომპანიის წარმომადგენელმა მირ მამედოვმა მოაწერეს. ხელშეკრულება ერთიანი დამსახურების პარამეტრები კონფიდენციალურია, თუმცა, როგორც ქართული მხარე აცხადებს, აზერბაიჯანელებმა წლეულს ჩვენ მიერ შეთავაზებული ყველა მსხვილი პროექტის დაფინანსება ითავეს. ამას შედის საერთაშორისო ორგანიზაციის ოლიმპიური კომიტეტების ეგიდით გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა, საგანმანათლებლო და საგამომცემლო საქმიანობა და სხვა... ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „სოკარი“ გულუხვი სპონსორია, თუმცა, როგორც მამედოვმა განაცხადა, ისინი ურთიერთობას სამომავლოდაც აპირებენ და მხოლოდ ერთი ნილი არ შემოიფარგლებიან. მით უფრო, კომპანია ქართულ სპორტთან აქამდეც მჭიდროდ თანამშრომლობდა. „ჩვენ ქართული სპორტის დიდი გულშემატკივრები ვართ, ნაყოფიერად ვმუშაობთ რამდენიმე სპორტულ ფედერაციასთან და მიხარია, რომ უკვე წელიწადი საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაშიც შევიტანეთ. სეოკის პარტნიორობა ჩვენთვის დიდი პატივია“ - განაცხადა მამედოვმა.

აზერბაიჯანულ კომპანიას თანამშრომლობისთვის თავის მხრივ მადლობა გადაუხადეს ხაბელოვმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძემ. „სეოკი-სამომავლოდ ბევრი კარგი პროექტის განხორციელებას გეგმავს და მოხარული ვართ, რომ ამ საქმეში „სოკარი“ ჩვენს გვერდით იქნება. ის სხვადასხვა ფორმით ისედაც დიდი ხანია, ეხმარება ქართულ სპორტს და მისი მისამართით მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის“ - თქვა ხაბელოვმა.

ირაკლი თაყვაძე

**ლელოზა**  
**სელმონარტა**  
**საჩურადლეოლი**

ხელმწიფის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მინოდება.

დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.  
კვირის გარდა.

### რეზიონი. ძიუდო

**თელავი**

თელავის რაიონში ძიუდოსადმი ინტერესი მზარდობს შორის, რაც დრო გადის, სულ უფრო იზრდება. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა თელავის მუნიციპალიტეტის პირველობამ, რომელიც ამ დღეებში მირიან ცალქელამანძის სახელობის საჭიდაო დარბაზში ჩაატარა რაიონის სასპორტო გაერთიანებამ.

გაგაცნობთ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს.

**2000-2002 წლებში დაბადებულები. 27 კგ.** 1. ზეზა ბაჩიაშვილი, 2. დავით ოთარაშვილი, 3. ალიკა გიგოლაშვილი, 3. ნიკა ჩხეიძე. **30 კგ.** 1. დავით ბახახაშვილი, 2. თემურ აბრამიშვილი, 3. გიორგი რუსულაშვილი, 3. თემურ მეტრეველი. **34 კგ.** 1. გიორგი გიორგაძე, 2. მიმო ბახუტაშვილი, 3. თორღვა გოგოჭური, 3. გიორგი ანუაშვილი. **38 კგ.** 1. გიორგი ვართანაშვილი, 2. მამუკა ბოტკოველი, 3. ნიკა მიჯახაშვილი, 3. ლუკა ჯავახიშვილი. **42 კგ.** 1. ცოტნე ნასყიდაშვილი, 2. ლევან თანდილაშვილი, 3. გიორგი გაუარაშვილი, 3. დავით გაუარაშვილი. **46 კგ.** 1. დუტა ხომიზური, 2. გოგა ერგემიძე, 3. თორნიკე ყყოიძე. **50 კგ.** 1. მიმო ბახახაშვილი, 2. გიორგი ჩარბაძე, 3. გიორგი ხვისტიანი. 3. გიორგი კოვალენკო. **+50 კგ.** 1. დავით ძამუკაშვილი, 2. ლამა ბაზერაშვილი, 3. მერაბ ქვეციშვილი.

**1998-1999 წლებში დაბადებულები. 40 კგ.** 1. სოსო მოსიაშვილი, 2. ნიკა ყარაულაშვილი, 3. გიორგი ზურაშვილი, 3. ვიკო აბრამიშვილი. **45 კგ.** 1. დიმიტრი გოჩიაიძე, 2. ნოდარ ნასყიდაშვილი, 3. გიორგი პანკელაშვილი, 3. კახა ბლუიშვილი. **50 კგ.** 1. გოგა ბინკინაშვილი, 2. სოსო კირვალიძე, 3. გოგა მთვარელიძე, 3. ვალერი ტვირთაშვილი. **55 კგ.** 1. გუჯა ორკოდაშვილი, 2. ლუკა ნინიკელაშვილი, 3. კახა არცემაშვილი, 3. ზურა ზალიაშვილი. **60 კგ.** 1. გეგა მანიაშვილი, 2. ნიკა ერგემიძე, 3. ნოდარ აფციაური, 3. გოდერძი ქართველიშვილი. **66 კგ.** 1. ზურა ლიქოკელი, 2. ჯემალ ქვეციშვილი, 3. სიმონ მანაბლიშვილი, 3. სოსო მარგალიტაშვილი. **81 კგ.** 1. პაატა მარტიაშვილი, 2. ვატო ბოტკოველი, 3. ალექსი ბოსტოიანი.

ლელა ხაჩოშვილი

### ლელოზა

**ლელა რაბის სამსახური**

ამას წინათ საქართველოში ჩამოყალიბდა ლელის ფედერაცია, რომლის პრეზიდენტად არჩეულია გენერალი ვახტანგ კაპანაძე. ფედერაცია აქტიურად მუშაობს მუშაობას. ტარდება შეჯიბრებები. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ ისევე როგორც ქართული ჭიდაობა აძლიერებს შესაბამის საერთაშორისო სახეობებს, ლელისტურთა ხელი შეუწყოს საქართველოში რაბის მასობრიობას, ნიჭიერ ახალგაზრდებს გზა გაუკვალოს დიდ რაბიში. ერთობლივად სწორედ ამ სულისკვეთებით ჩაატარდა სამტრედიის ლელის ფედერაციაში



### ქაღალაქი

## მჭედლიშვილი ლიდა რაბი ბაჩია

ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით ოთხი დიდოსტატი მენინავეობდა ნახტევანში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც ხუთი ქართველიც მონაწილეობს. დანინაურებულთა კვარტეტის წევრები გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ და დახვდნენ: ალექსეი ალექსანდროვი (ბელარუსი) - იგორ კურნოსოვი (რუსეთი), გადარ ჰუსეინოვი (აზერბაიჯანი) - ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი). ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა თბილისელი მიხეილ მჭედლიშვილი, რომელმაც შავი ფიგურებით ვუგარ ბაირამოვი (აზერბაიჯანი) აჯობა და 2,5 ქულით მენინავეებს წამოეწია. მსგავსი შანსი ჰქონდა გიგა ყუფარაძესაც, მაგრამ რეიტინგში მასზე მაღლა მდგომ დენის ხისმატულინს (რუსეთი)

სათანადო ნინაღმდგეობა ვერ გაუწია და დამარცხდა. ლევან ფანცულაიამ ფაიკ ალესკეროვი (აზერბაიჯანი) მოუგო, ზურაბ ჯავახაძე ირანელ მანდილოსანს - სარასადათ ხადემალშარის დანებდა, ხოლო ბაჩანა მორჩიაშვილი კამალ აგასიევი (აზერბაიჯანი) დაჯაბა.

სამი ტურის შემდეგ 2,5-2,5 ქულით ერთბაშად 11 მოჭადრაკე (მათ შორის მჭედლიშვილი) დანინაურდა. ქართველთა მონაგარი კი ასეთია: მჭედლიშვილი - 2,5, ყუფარაძე, ფანცულაია - 1,5-1,5, მორჩიაშვილი - 1, ჯავახაძე - 0,5 ქულა.

დღეს მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართება.

ვაჟა დანელია

## ფურცელაქი მესაბეა



პოლონური რაბიდა (სწრაფი ჭადრაკი) და ბლიცში საერთაშორისო ტურნირები საქმიად მოხმარდა. დუბაში (არაბთა გაერთიანებული საამიროები) ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირის დასრულების შემდეგ სხვადასხვა ქვეყნის 78 წარმომადგენელი რაბიდაში ცდიდა ძალეს. შვიდი შესაძლებელიდან ქულათა მაქსიმუმით პირველ ადგილზე უზბეკი დიდოსტატი სერგეი კაიუმოვი გავიდა. გამარჯვებულს თითო ქულით ჩამორჩნენ საუდ აბმედ ბონდოკი (ეგვიპტე), მაკა ფურცელაქი (საქართველო) და სემი შოკერი (ეგვიპტე), რომლებმაც მეორე-მეოთხე ადგილები შესაბამისი თანმიმდევრობით გაიყვეს.

ვაჟა დანელია

### სხალბურთი



## გვახარია, მერე შესარჩევი

საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკი“ ხვალ დაიწყება და სამ დღეს გასტანს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორის - ნოდარ გვახარია სახელობის საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი, რომელიც წლეულს 1996-1997 წლებში დაბადებული საქართველოს, ყაზახეთის, ჩეხეთისა და ისრაელის წყალბურთელები იათამაშებენ.

სერბი სპეციალისტის - იოვან პოპოვიჩისა და ირაკლი ბაქრაძის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა წყალბურთელები მონაწილეობენ ემზადებან ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის, რომელსაც 9-12 მაისს „ოლიმპიკი“ უმასპინძლებს. ნოდარ გვახარიას თასის გათამაშებაში მონაწილეობაც, სწორედ, შესარჩევისთვის უკეთ მომზადებას ემსახურება.

როცა იქ ჩავედით, მისი პატივისცემით, მასპინძლები მეტ ყურადღებასაც გაუქვეყნენ.

- ნაკრების შემადგენლობაზე რას იტყვიან?

- სერბეთში 13 მოთამაშე გვყავდა შეკრებაზე: ბექა ჭოლოკაძე, ირაკლი რაზმაძე, ანდრია ბითაძე, რომელიც იქაურ კლუბში თამაშობს, გიორგი გაბადაძე, ხვიჩა ჯახაია, ზურაბ ჩიკვაძე, დავით რევი, რევაზ იმინაშვილი, გიორგი მაგრაქველიძე, ირაკლი მარგველაშვილი, ლევან მოსესვილი, გიორგი ზაქარეიშვილი და ლუკა ჯანაძე. გვახარია ტურნირისთვის, როგორც მასპინძლებს, სამი წყალბურთელის დამატება შეგვიძლია, ამიტომ ვალერი კუციას, სურეი ბარდაველიძესა და გიორგი წერეთელსაც გამოვცდით.

წლიწლივით წინათ გერმანიაში სასწავლებლად წავიდა მამუკა თუხარელი, რომელიც ერთ-ერთ ნორმალურ კლუბშიც თამაშობს. როგორც გვითხრეს, „კიოლს“ სურს მისი გადაბრუნება. გვახარია ტურნირისთვის კლუბმა არ გამოუშვა, რადგან ქვეყნის პირველობის გადამწყვეტი შეხვედრები აქვს ჩასატარებელი. 6 მაისს ჩამოვა. ევროპის პირველობის შესარჩევ ასპარეზობამდე სამი დღე გვრჩება. ვარჯიშებზე ვნახავთ, როგორ ფორმას იკარგავს და მოგვეწონება, შესარჩევ ტურნირში ვათამაშებთ.

აქვე გაუწყებთ, რომ გვახარია თასის გათამაშების დელეგაცია ბერძენი აპოსტოლოს სანტასი. მსაჯეები: ევგენი ბობკოვი (ბელარუსი), ირაკლი კიკალიშვილი (საქართველო), ალის ალკვიადესი (კვიპროსი), იავორ ნესტოროვი (ბულგარეთი).

### შესაქარათა განრიგი

- 26 აპრილი. ისრაელი - ჩეხეთი 17.30), საქართველო - ყაზახეთი (19.00)
- 27 აპრილი. ყაზახეთი - ჩეხეთი (17.30), საქართველო - ისრაელი (19.00)
- 28 აპრილი. ისრაელი - ყაზახეთი (10.00), საქართველო - ჩეხეთი (11.30)

ვაჟა დანელია

### როგორ

## კალაშნიკოვა მეორეხელფინალშია

შხაპქურ ანდიფანში გრძელდება ჩოგბურთულ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი). თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ, რომელიც მე-5 ნომრადაა განთესილი, ძირითად ბადეში სტარტზე ვლადა ეკიშბაროვასთან გამარჯვების შემდეგ გუშინ იანა ხონს (უზბეკეთი) აჯობა - 6:2, 6:3 და მეოთხედფინალში ტურნირის მე-2 ნომერ ნიგინა აბდურაიმოვას დაუპირისპირდა.

უკვე გაუწყეთ, რომ სტამბოლში ქალთა 50.000-იანი ტურნირის ერთეულთა თანრიგს გამოეთიშა სოფიო შაფათაძე, მაგრამ ჩვენი წყვილებში განაგრძობს პაექრობას. ჩვენებური უკრინელ ვალენტინა ივანენკოსთან ერთად პირველ ნომრადაა განთესილი. სტარტზე სტეფანი დუბუას (კანადა) და ყსამინა ტინჯიჩის (ბოსნია-ჰერცეგოვინა) დუეტს სძლია 6:4, 6:2 და დღეს მეოთხედფინალში

ში ფუსტინა ფეგიოლკა (პოლონეთი)-მელის სეზერის (თურქეთი) ტანდემს გაუწევს მეტოქეობას.

ვაჟა დანელია



ოქსანა კალაშნიკოვა

ინტერვიუ თამარ ხანდიაშვილთან

ინტერესი სოფლით უნდა გავაღვივოთ

საქართველოს ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. საუკეთესო გუნდის გამოსავლენად წლეულს ორი თამაშია დარჩა...

ასთან 12:13 წავაგეთ. მატჩის შემდეგ მსაჯთა კოლეგია შეიკრიბა და ერთხმად აღიარეს...

- საქართველოს ჩემპიონატში უცხოელი მსაჯები გამოჩნდნენ. აქამდე ერთი ახალზელანდიელი მსაჯობდა...

- სეზონის დაწყების წინ ჩვენი კლუბი ძალზედ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა...

- გუნდში ვერ ავამალღეთ საბრძოლო განწყობა. გვეგონა, რომ რამდენიმე გუნდთან მხოლოდ სათამაშო კლასის ხარჯზე მოვიგებდით...

- ვარჯიშს არ ვწყვეტთ. მართალია ისეთივე სისხირობით არ ვივარჯიშებთ, როგორც ჩემპიონატის მსვლელობისას...

ტრავმირებული იყო ბობა კვინიხიძეც, რომელიც ჩვენი გუნდისთვის არა მარტო მგეზავი, არამედ ორგანიზატორი და ლიდერია...

- ძალიან ბევრი ახალი მოთამაშე გამოვცადე. ექვსი-შვიდი მორაგბე იყო ისეთი, ვინც უმაღლეს ლიგაში პირველი სეზონი ითამაშა...

- არ შემიძლია საქართველოს ნაკრებზეც არ გკითხოთ. ჩვენი ეროვნული გუნდი ახალი სტილით თამაშს ცდილობს...

- წლებადღელ ჩემპიონატში „ლოკომოტივიმ“ რვა თამაში წააგო. მსგავსის გახსენება ძალიან მიჭირს...

- უნდა ვივარაუდოთ, რომ გუნდის მიერ შექვეყნებული ადგილის დაკავება საესეებით ლოგიკური იყო.

- რვა-ათი წლის წინათ, როცა ქართველი მორაგბეები საფრანგეთში სათამაშოდ მიდიოდნენ, მათ კოჭებში ეტყობოდათ...



თემურ ბენდიასვილი

ბუსტები



ბოკა 15 დაიბადა

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა იმ 15 მორაგბის სია გაცხადდა, რომლებთანაც პროფესიული კონტრაქტი გააფორმა...

„მაქსიმალურად ვეცადეთ, ეროვნული ნაკრებისთვის წამყვანი მოთამაშეები შეგვენარჩუნებინა...

შეგახსენებთ, რომ სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის წესდების მიხედვით, იმ მოთამაშეებს, რომლებსაც კონტრაქტი უცხოურ კლუბებთან აქვთ გაფორმებული და შესაბამისად, მათ ღირსებას იცავენ...

სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა იარი რუმმა განაცხადა...

ბუსტები

სკოლები იაპონიას უმასპინძლებენ

შოტლანდიის რაგბის კავშირმა დაადასტურა ნოემბრის ტესტების განრიგი, რომლის მიხედვითაც „ნარმაგები“ შინ სამ მატჩს გამართავენ...

შუალეგას მოგვცემს ქომაგებს სპეციალური ბილეთები შევთავაზოთ, რომლითაც სამივე მატჩზე დასწრების შეძლებენ...

საქართველოს ჩემპიონატი

A ლიგას ხუთი ლიდერობს


ჭაბუკთა A ლიგაში მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. დაუმარცხებელი ჯერჯერობით ხუთი გუნდია...

22:13, ხოლო „ხარება“ შინ მოუგეს ქუთაისის მეორე გუნდს - 23:10.

Table with 4 columns: Round (A, B, III, IV), Match details, and scores.

ჯახიური სპორტი

კალატბურთი. NBA. პლეი ოფი



აუიოგაუი კოზის გარეგანი

“ლოს ანჯელეს ლიქაბრამა” პლეი ოფის სერიის პირველი მატჩი ნაავო. პაუ გასოლისა და დუაიტ პოვარდის ორმაგი ცენტრის ტაქტიკა პრობლემა არ ყოფილა “სან ანტონიოსისთვის”, რომელმაც კალიფორნიელებს მხოლოდ 79 ქულა დააგროვეს...

და “ლეიკერს” მოაგებინა... “სან ანტონიოსთან” მატჩში. ეს მოხდა რეგულარულ ჩემპიონატში. ნაილოზივ, ამ ვარაუდის დადასტურება შეიძლება იყოს სტივ ბლუკის ციტატა: “კობი რომ აქ იყოს, სწორედ ის მოგვცემდა რჩევებს. ზუსტად გვეტყოდა, რა უნდა გავაკეთებინა მოუდანზე. ახლა კი ის ცდილობს დაგვეხმაროს როგორც შეუძლია. კობი ყოველთვის მეორად რჩება და ძალიან უნდა მოედანზე ყოფნა. ჩვენ ყველას გვინდა ეს. მაგრამ, სამწუხაროდ, მას მხოლოდ რჩევებით დახმარება შეუძლია.”

“საუიოგაუი” თვის “ტვიტერზე” ფაქტობრივად ონლაინ-ტრანსლაციას აწარმოებდა და კომენტარს უკეთებდა თანაგუნდელების მოქმედებებს. “უფრჩევ პაუს, დაფარებზე ინადიროს: არ მოცილდეს იქაურობას, სანამ ტყორცნას არ დაბლოკავს!” ან ასეთი კომენტარი, რომელიც “ლეიკერსის” დაცვაში მოქმედებას შეეხებოდა: “არ შეიძლება ასე უბრალოდ განზე ვასვლა, როცა შენსკენ პარკერი მობრძის. მეტოქე ფარს მაქსიმალურად უნდა მოაცილო. ისინი ხომ ყოველ ჯერზე იოლად შედიან სამნამიანში, შემდეგ კი ფარქვეშ პასს აკეთებენ ან თავად ავტოგენ ბურთს”.

აქ ისმის კითხვა - მაშინ, რა საჭიროა მთავარი მწვრთნელი? შესაძლოა, სწორედ ამიტომაც, მატჩის შემდეგ მაიკ დ'ენტონიმ აკურატული რეპლიკით ოდნავ გადაკრა კობი ბრაიანტს. “კარგია, რომ ის თავის პოზიციებზე აფიქსირებს. კობი ხომ ახლა გულშემატკივარია. უბრალოდ, საქმე ისაა, რომ ასეთი გულშემატკივრის შეტყობინებებზე უფრო ალბათობით უფრო მეტად ამბავილებენ ყურადღებას, ვიდრე ამას საჭიროება მოითხოვს. ეს არის და ეს”.


საკმაოდ საჭირო რჩევებია კობისგან. ამიტომაც გასაკვირი არ იქნებოდა, თუ დიდი შესვენების დროს, მოთამაშეები არა მწვრთნელის ნოტაციების მოსმენას დაინწყებდნენ, არამედ საკუთარ მობილურ მონიტორინგებს ჩაუჯდებოდნენ საკუთარი ლიდერის რჩევების ნასაკითხად. ამასი განსაკუთრებული არაფერია. უფრო ადრევე, მცველმა მატჩის შესვენების დროს დაურეკა პაუ გასოლს: მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა გერი ვიტიმ უფრო მეტი გადასცა ესპანელს, რომელმაც მიიღო საჭირო ინფორმაცია

NBA-ის “ჩვეულებრივი” სუთგზის ჩემპიონისა და “ყველა ვარსკვლავის მატჩის” 15-გზის მონაწილის რეაქციამ არ დააყოვნა: “მე გულშემატკივარი ვარ?! სასაცილოა”, - დაწერა ბრაიანტმა. და მაინც, იმისთვის, რომ მეოთხედ-ფინალური სერია თავისი შეტყობინებებით არ გადაფაროს, კობიმ გადაწყვიტა რეალურ რეჟიმში ალარ გაუკეთოს კომენტარი მოედანზე მიმდინარე მოვლენებს. ახლა, ისაა რჩება, რომ თვლი მივადევნოთ მის გვერდს “ფეისბუქზე”: კობის არ უთქვამს, რომ იქაც არ დაწერს მატჩის დროს. საინტერესოა, გაძლებს თუ არა “საუიოგაუი” ისე, რომ “სან ანტონიოსთან” სერიის ბოლომდე კრინტი არ დაძრას.

კალატბურთი. NBA. პლეი ოფი

სანასხევიროდ გაკეთებული საქმე

სერიის პირველ მატჩში დიდი ანგარიშით ნაგების შემდეგ, “მილუოკიმ” სერიოზული ბრძოლა გაუმართა მეორე შეხვედრაში მოქმედ ჩემპიონს, თუმცა მაინც დამარცხებულმა დატოვა მოედანი. პირველი შეხვედრის შემდეგ, “ბაქსის” შემადგენლობაში ყველაზე მეტად აკრიტიკებდნენ თურქ ლეგიონერს ერსან ილიასოვას, რომელმაც, როგორც ჩანს, სათანადო დასკვნები გააკეთა და თავისი გუნდის რიგებში საუკეთესო იყო. მაგრამ აქედან კლუბმა ხეირი ვერ ნახა, რადგან ამჯერად, უარყოფითი კუთხით წარმოაჩინეს თავი “მილუოკის” ლიდერებმა - ჯენინგსმა და ელისმა. ახლა, მათი ჯერი დადგა შეხვედრის ჩაგდებას. ამაზე მეტყველებს ამ დეტის ვაშური სტატისტიკა: 15 ქულა (თამაშიდან - 22-დან 17 აკლიებული ტყორცნა, მათ შორის 10 არაზუსტი სამქულიანი).



კარმელომ 34 ქულა დააგროვა

მოუხედავად ამისა, სწორედ ილიასოვასა და სანდერსის მონდომებით, სტუმრები სამი მეოთხედის განმავლობაში თანაბრად ებრძოდნენ “მაიამის”. მეოთხე 12-წუთიულის სტარტზე “პიტის” უპირატესობა მხოლოდ სამი ქულა იყო. მაგრამ 2 წუთისა და 22 წამში ჩემპიონებმა 12:0 გაქცევა მოახვედრეს, 15 ქულით გავიდნენ წინ და ამის შემდეგ, სტუმრები ახლოსაც აღარ მიკარებინა მეტოქეს. სხვათა შორის, ეს გადაწყვეტი საურტი რეზერვისტებმა მოახვედრეს - 12-დან 10 ქულა ანდერსენისა და კოულის ანგარიშზეა. ასე რომ, “პიტში” თავის ისტორიაში მეოთხედიდან დაინაურდა სერიაში 2:0. ნინა ათ შემთხვევაში, ფლორიდლები წარმატებით ასრულებდნენ სერია.

თავის მხრივ, “ნიუ იორკი” 2000 წლის შემდეგ პირველად დაინაურდა პლეი ოფის სერიაში - 2:0. ვუდსონის შევირდებმა დაახლოებით ისეთ სტილში მოიგეს მეორე მატჩი, როგორითაც პირველში გაიმარჯვეს. ბოსტონელები კვლავ თანაბრად ებრძოდნენ მეტოქეს პირველ ტაიმში და წინ გასვლაც მოახერხეს. და ისევ ჩააგდეს მეორე ნახევარი. 23 ქულა და თამაშიდან ტყორცნების რეალიზაციის 19 (!) პროცენტი - ასეთია “კელტების” სტატისტიკა დიდი შესვენების შემდეგ. ცნობისთვის, “სელტიქსის” მთავარმა იმედმა ჯეფ გრინმა ამ მატჩში 11-დან რვა სროლა ააცილა მიზანს.


იორკმა” თითქმის სამჯერ მეტი ქულა დააგროვა - 32:11, თან ამ დროს მასპინძლებს შთამბეჭდავი საურტი გამოუვიდა - 27:4. საინტერესოა, რომ ამ 12-წუთიულებში კარმელო ენტონიმ უფრო მეტი ქულა დააგროვა, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა ბოსტონელმა. ახლა, “სელტიქსმა” თითქმის შეუძლებელი უნდა შეძლოს იმისთვის, რომ აცილოს ის, რაც მის თავს უკვე რვა წელია არ მომხდარა, კერძოდ, პლეი ოფის პირველივე რაუნდში გაკარდნა.

Table with 2 columns: Player Name and Points. Includes entries for 25:23, 22:20, 21:22, 30:21 and player stats like Ma: უილი (21+7 მოხსნა+3 პასი), ჯეიმსი (19+8 მოხსნა+6 პასი), ანდერსენი (10+6 მოხსნა), ბოში (10+6 მოხსნა), ბატი (10).

გადამწყვეტი ამ მატჩში მესამე მეოთხედი აღმოჩნდა, რომელშიც “ნიუ

Table with 2 columns: Player Name and Points. Includes entries for 26:20, 16:28, 32:11, 13:12 and player stats like ნი: ენტონი (34), სტი (19), ფელტონი (16+7 მოხსნა), მარტინი (3+11 მოხსნა+4 დაფარება), პ: პირსი (18+6 პასი+6 მოხსნა), გარნეტი (12+11 მოხსნა), გრინი (10), კროფორდი (10), ბასი (6+10 მოხსნა).

მოგება ლიდერის გარეგანი



სტივენ კარი

“პოსტმენა” სერიის ორ მატჩში ჯამში მხოლოდ 149 ქულა დააგროვა, “გოლდენ სტიტს” კი სულ რაღაც 18 ქულა დააკლდა იმისთვის, ეს მონაგარი ერთ შეხვედრაში დაეფიქსირებინა. “უორიორზმა” ნაავო სერიის პირველი მატჩი სტუმრად “ნაგეტსთან” და მეორე მატჩისთვის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, რადგან ხანგრძლივი ფორვარდი დევიდ ლი ამ კალათბურთელის მნიშვნელობაზე ერთი მარტივი სტატისტიკური მონაცემი მეტყველებს - ბოლო სამი სეზონის განმავლობაში, “მეორეგმა” ლის გარეშე მხოლოდ სამი მატჩი მოიგეს და 18-ჯერ დამარცხდნენ. ასე რომ, “გოლდენ სტიტი” თითქოს განწირული ჩანდა, მაგრამ მარკ ჯექსონმა ისე დააყენა სასტარტო ხუთეული, რომ სტუმრებმა ფარის მოგებაც კი მოახერხეს: 36:26. თუმცა ამ სტატისტიკის თავისი ახსნა აქვს - “უორიორზი” იშვიათად აცილებდა ბურთს და “დენვერს” მოსახსნელიც არაფერი ჰქონდა.


“დენვერმა” სცადა მასქიმაღლურად შეეზღუდა მეტოქის შეტევების ეფექტურობა, მაგრამ სტუმრებმა მაინც ბევრი ტყორცნა შეასრულეს ნინაალმდეგობის გარეშე. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, რომ უკვე მესამე მეოთხედი “მეომრებმა” ორნიშნა უპირატესობას მიაღწიეს და შემდეგ, მეტოქეს აღარ მისცეს მიახლოების საშუალება. თან იშვიათი სტატისტიკა დააფიქსირეს - თამაშიდან ტყორცნების სიზუსტე 64.6 პროცენტს უდრიდა. ეს საუკეთესო მაჩვენებელია პლეი ოფში ბოლო 22 წლის განმავლობაში. სწორედ ამის გამო, “ნაგეტსმა” პირველი საშინაო მარცხი იწვნია 18 იანვრის შემდეგ.

სამწვრთნელო აგბაუი

უკვე დღეს შეიძლება ოფიციალურად გამოცხადდეს იმის შესახებ, რომ “კლივლენდ კავალიერზის” მთავარი მწვრთნელის პოსტზე ბრუნდება 43 წლის მაიკ ბრაუნი. ეს სპეციალისტი “კავალიერების” მწვრთნელი 2005-2010 წლების პერიოდში იყო და ლებრონ ჯეიმსის დახმარებით, გუნდმა 2007 წელს NBA-ის ოფინალში გაიყვანა, 2009 წელს კი სეზონის საუკეთესო მწვრთნელად გამოცხადდა. 2011 წელს, ბრაუნი “ლოს ანჯელეს ლეიკერსის” მწვრთნელად დაინიშნა, მაგრამ ეს პოსტი 2012-13 წლების სეზონის მსვლელობისას დატოვა. შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას, “კლივლენდის” ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვა ბაირონ სკოტი, რომელმაც გუნდთან სამი სეზონი იმუშავა.

“შარლოტ ბობკეტსმა” მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაუშვა მაიკ დანლუბი, რომელიც ამ სეზონის წინ დაინიშნა აღნიშნულ თანამდებობაზე და გუნდს 82 მატჩში მხოლოდ 21 გამარჯვება მოაპოვებინა. და კიდევ, გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ “დეტროიტის” მთავარი მწვრთნელი შეიძლება გახდეს სერბი სპეციალისტი ველკო კობრადოვიჩი. ეს ერთ-ერთი ვარიანტია. ასევე განიხილება ნეიტ მაკმილანის კანდიდატურა, რომელიც ადრე “სიეტლისა” და “პორტლენდის” მწვრთნელად მუშაობდა და ჯამში 478 მატჩი მოიგო და 452-ჯერ დამარცხდა. ეს სპეციალისტი აშშ-ის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შედიოდა, რომელმაც პეკინსა და ლონდონში ოქროს მედლები მოიპოვა.

გასულ კვირას, “დეტროიტმა” პოსტიდან დაითხოვა ლოურენს ფრენკი. გვირდნი მოაგზადა გია თვალაპივილია



მაიკ ბრაუნი

აგბაუი

დენანი: როუზის ფორმა ყოვალთვის გზადაა

“ჩიკაგოს” ფორვარდმა ლუოლ დენამა განაცხადა, რომ გუნდი ბოლომდე უჭერს მხარს გამთამაშებელ დერეკ როუზს, რომელიც არ ჩქარობს მოედანზე დაბრუნებას ოპერაციის შემდეგ. “როუზს ძალიან უნდა თამაში. მას ძალიან გაუჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება და მთელი ეს სიტუაცია ძალიან ცუდად მოქმედებს მასზე. ვიცი, როგორ უნდა მას ჩვენს გვერდით ყოფნა. თუ დერი კი შემოვა გასახელებში და იტყვის, რომ ხვალ მოედანზე ვასვლას აპირებს, მისი მისურა მზად იქნება. თუ ეს არ მოხდა, ჩვენ მას 100 პროცენტით დაუჭერთ მხარს” - ამბობს დენგი CBS-თან კომენტარში.

დენანი გვიგარს ვერ იგანს

“სანანტონიო სპარსის” ვეტერანმა ცენტრმა ტიმ დანკანმა აღიარა, რომ არ გახლავთ სოციალური ქსელის - “ტვიტერის” თავყვანის მცემელი. “ერთხელაც არ შევსულვარ Twitter.com-ზე. ალბათ, ერთადერთი ადამიანი ვარ მთელ ლიგაში, რომელსაც საკუთარი გვერდი არ გააჩნია. არანაირი სურვილი არ მაქვს ყველას მოუყვე იმის შესახებ, რით ვარ თავისუფალ დროს დაკავებული”, - ამბობს ლეგენდარული კალატბურთელი.

აგარა მეორე რაუნდს უპიზნებს

“ნიუ იორკ ნიქსის” ფორვარდმა აპარ სტაუდმაიერი, რომელმაც მარტში მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გადაიტანა, უფრო ალბათობით განუცხადა, რომ, შესაძლოა, პლეი ოფის მეორე რაუნდში შეძლოს მოედანზე დაბრუნება, - წერს გაზეთი “ნიუ იორკ პოსტი”. მოთამაშემ აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის პროცესი ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიმდინარეობს. ოპერაციამდე ხუთ მატჩში სტაუდმაიერი საშუალოდ 16.8 ქულასა და 5.4 მოხსნას აგროვებდა. თუმცა მის არყოფნაში “ნიქსმა” 19 მატჩში 17 გამარჯვების მოპოვება მოახერხა.

როგორ

ნაღალი პირველი უნდა იყოს

მაკინროი და ფორუა როლან ბაროსუა რაფასთვის განთავსვის მაღალ ნომერს ითხოვს

დევისისთასზე საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა გი ფორუემ განაცხადა, რომ ნელს როლან გაროსის ორგანიზატორებმა უნდა იზრუნონ იმისთვის, რომ ტურნირის შვიდგზის ჩემპიონს რაფაელ ნადალს განთავსონ მაღალი ნომერი მისცენ.

ჩვეულებრივ, საფრანგეთის ღია პირველობაზე განთავსვა ხდება ATP-ის რეიტინგის მიხედვით. ესპანელი ჩოგბურთელი, რომელიც შვიდგზის პაუზის შემდეგ დაბრუნდა კორტზე, ახლა მეხუთე ადგილს იკავებს კლასიფიკაციაში. კვირას მონაკოს მასტერსის ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩთან დამარცხების შემდეგ, ნადალმა რეიტინგში 400 ქულა დაკარგა, რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის გამორიცხულია როლან გაროსამდე მისი ტოპ-ოთხეულში შესვლა.

ასე რომ, პოტენციურად პარიზში რაფაელი შეიძლება მეოთხედფინალურ ეტაპზე შეხვდეს ჯოკოვიჩს, როგორც ფედერერს, ენდი მარეის ან დავიდ ფერერს. გი ფორუე, რომელიც როლან გაროსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი გახლავთ, აცხადებს, რომ უნდა განიხილოს ნადალისთვის უფრო მაღალი განთავსვის ნომრის გადაცემის საკითხი.



რაფა და ნოვაკი

„შემდეგი რამდენიმე კვირის განმავლობაში, ჩვენ შეიძლება ვნახოთ ნადალისა და ჯოკოვიჩის დაპირისპირება დიდი ტურნირების ფინალებში. სამუხარო იქნება, თუ როლან გაროსზე ისინი მოთხვედნაში შეხვდებიან ერთმანეთს. ნესტების თანახმად, „დიდი სლემის“ ტურნირებზე შესაძლებელია მოთამაშეთა განთავსვის ნომრის შეცვლა. ადრე ასეთი რამ გაუკეთებიათ უიმბლდონზე. ლოგიკური იქნება თუ ამ ნესტს ნელს პარიზში გამოვიყენებთ“, - ამბობს გი ფორუე.



იგივე აზრი გამოთქვა ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯონ მაკინრომ. მანაც მოუწოდა როლან გაროსის ორგანიზატორებს გადახედონ ტურნირზე მოთამაშეთა განთავსვის ნესტებს.

„ფიქრობ, იმ მოთამაშეებს, რომლებიც რეიტინგში რაფას ზემოთ იმყოფებიან, არ სურთ ესპანელი როლან გაროსის ბადის საკუთარ ოთხეულში იხილონ. პირადად მე მიმაჩნია, რომ პარიზში ის პირველ ნომრად უნდა იყოს განთავსებული. ნადალზე მეტად ამას არავინ იმსახურებს.“

ეს მხოლოდ ლაპარაკია, რომ ნადალს უფრო მაღალი განთავსვის ნომერი უნდა ჰქონდეს, ვიდრე დავიდ ფერერს ან ენდი მარეის. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია რაფას კონკურენცია გაუწიოს გრუნტზე - ნოვაკ ჯოკოვიჩია. თეორიულად, მხოლოდ ის იმსახურებს ესპანელზე უფრო მაღალ განთავსვის ნომერს. მიმაჩნია, რომ როლან გაროსის ორგანიზატორებმა უნდა გადახედონ საკუთარ ტურნირზე განთავსვის ნესტებს.

ჩემი აზრით, ხუთსეტიანი მატჩების ფორმატი რაფაელს დაეხმარება. ეს მას უფრო მეტ დროს მისცემს იმისთვის, რომ იგრძნოს საკუთარი თამაში და რაღაც შეცვალოს მასში. ამასთან, მე ბოლომდე დარწმუნებული ვერ ვიქნები მის ფიზიკურ ფორმაში - ნელს ის საქმეში მხოლოდ რამდენჯერმე ვნახე, მაგრამ ამ მატჩებში მან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა“, - ამბობს მაკინრო ამერიკულ ვებგვერდ Tennis.com-ზე.

გვარდი მოამზადა გაი თვალაბიძიშვილი

ახსენი

პელოსოპი პაპაიძის ნახვლა გადაწყვიტა

სახელმწიფო იტალიელი ველომბრალი ალესანდრო პეტაი 39 წლის ასაკში ასრულებს პროფესიულ კარიერას. „მე ყველაფერი გავიღე რბოლებისთვის 18 წლის განმავლობაში, - ამბობს იტალიელი. - კარიერაში მე-200 გამარჯვების ზღვართან გავაცნობიერე, რომ კრიტიკულ ნერტილობაზე მივიღე, საიდანაც რაღაც ახლის ძებნაა საჭირო. მეტი დრო უნდა დავუთმო საკუთარ ოჯახს. ამ ფიქრებმა მიბიძგეს კარიერის დასრულების გადაწყვეტილებაზე. მინდა მადლობა გადავუხადო გულშემატკივრებს, გუნდს, სპონსორებსა და სხვა სპორტსმენებს იმისთვის, რომ თელი ამ დროის განმავლობაში მხარში მედგნენ.“

მთელი თავისი კარიერის განმავლობაში, სპრინტერმა გრანდ-ტურებზე 51 ეტაპი მოიგო, ასევე გაიმარჯვა ქულათა კლასიფიკაციაში ფირო ლეიტალიზე (2004), ვუელტასა (2005) და ტურ დე ფრანსზე.

აქხანგი კრის ფრანსი

კინეზოლოგი ნარმოშვილის ბრიტანელმა ველომბრალმა კრისტოფერ ფრანსმა დაადასტურა, რომ ნლეგანდელ ტურ დე ფრანსზე სწორედ ის იქნება ბრიტანელი საჯინიბო „სქანის“ ლიდერი და გუნდის სხვა წევრები, მათ შორის, ტურ დე ფრანსის მარშანდელი გამარჯვებული ბრედლი უიგინსი, სწორედ მასზე იმუშავენ.

„100 პროცენტით შემოიღია გითხრათ, რომ სწორედ მე ვიქნები ტურზე გუნდის ლიდერი. ეს გადაწყვეტილება იანგერიდან არის ძალაში და ყველაფერი გვემის მიხედვით მიმდინარეობს. პირადად მე რაც შეეძლება, გუნდის ლიდერად ყოფნა - განსაკუთრებული გრძობაა“, - ამბობს ფრანსი Sky Sports-თან კომენტარში.

როგორი პირველი უნდა იყოს

16 ივნისს, ლონდონის „ქუინზ კლაბს“ ტურნირის რანგში გაიმართება საქველმოქმედო შეხვედრა, რომელშიც ბრიტანელი ენდი მარეი თავისი მწვრთნელის ივან ლენდლის წინააღმდეგ ითამაშებს. ეს იქნება წყვილთა მატჩი, სადაც მარეის პარტნიორობას გაუწევს ტიმ ჰენმანი, ხოლო ლენდლის მენეჯერს იქნება ჩემპიონ ბრედლი.

საჩვენებელი მატჩიდან შემოსული თანხა მოხმარდება ბრიტანეთის ონკოლოგიურ ცენტრს, რომელშიც მკურნალობას გადის ბრიტანელი ჩოგბურთელი როს პატჩინსი.

როგორი სარეჟარი გავით ბავშვებს

მსოფლიოს პირველი ჩოგანის, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩის საქველმოქმედო ფონდმა 75 ველოსიპედი გადასცა სამხრეთ სერბეთის ნაკლებად მძვლებული ოჯახების შვილებს.

ფონდმა ბავშვთა დახმარების ასოციაციასთან ერთად შეარჩია სკოლაში წარმატებული ბავშვები, რომლებიც კარგად სწავლობენ რთული საცხოვრებელი პირობების მიუხედავად.

კალათბურთი ჩინეთი იანაიუს ჩააბარეს

ჩინეთის კალათბურთის ფედერაციამ ქვეყნის პირველი ნაკრების მთავარ მწვრთნელად ბერძენი სპეციალისტი პანაიოტის იანაიუსი აირჩია. მისი დანიშვნის შესახებ ოფიციალურად უახლოეს დღეებში გამოცხადდება.

54 წლის სპეციალისტი ადრე საბერძნეთის ნაკრებს ავარჯიშებდა და 2004 წელს ამ გუნდს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. დღეს, იანაიუსი საფრანგეთის „ლიმოუსის“ მთავარი მწვრთნელი გახლავთ.

სხვალი სკორები

Table with tennis scores for various tournaments including Wimbledon, French Open, and ATP events.

Table with tennis scores for various tournaments including Wimbledon, French Open, and ATP events.

Table with tennis scores for various tournaments including Wimbledon, French Open, and ATP events.

Table with tennis scores for various tournaments including Wimbledon, French Open, and ATP events.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

Table with NHL hockey scores for various teams and games.

25 აპრილი ხუთშაბათი

Table with TV program schedules for various channels and times.

15:00 ფეხბურთი

Table with TV program schedules for various channels and times.

ფორმულა 1

ბაპრეინში ბერაქში მზადდებოდა



პროტესტი ბაპრეინში

ბაპრეინის მთავრობა აცხადებს, რომ კვირას, ფორმულა 1-ის ეტაპის დროს, სავარაუდო ტერაქტების აღკვეთა მოახერხეს, - ამის შესახებ წერს სააგენტო AP.

აშშ-ის სპეცსამსახურებმა რეიდის დროს აღმოაჩინეს იარაღის საწყობი, სადაც დაახლოებით ათასი თვითნაკეთი ბომბი ინახებოდა. იტყობინებიან იმის შესახებ, რომ დაკავებულია ორი გოგონა, რომლებიც ტერაქტის მომზადებაში არიან ეჭვმიტანილი.

რბოლის დაწყებიდან ცოტა ხნით ადრე, ბაპრეინის პოლიციამ ცრემლსადენი აირი და რეზინის ტყვიები გამოიყენა შიიტური ოპოზიციის წინააღმდეგ. მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლებისა და ტერაქტის საშიშროების მიუხედავად, მთავრობამ გადაწყვიტა არ გაეუქმებინა ბაპრეინის გრანპრი.

შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ფორმულა 1-ის ეს ეტაპი გაუქმდა იმის გამო, რომ რბოლის წინ გამართული დემონსტრაციისას 35 ადამიანი დაიღუპა.



რობერტ კუბიცა

კუბიცა მარსელისში პარკიზმოს?

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“. ირკვევა, რომ პოლონელი პილოტი რობერტ კუბიცა საიდუმლოდ გადის ტესტებს ფორმულა 1-ის გუნდის - „მერსედესის“ სარბოლო სიმულატორზე. გამოცემის ინფორმაციით, კუბიცა უკვე რამდენიმე კვირა ასეთ რეჟიმში მუშაობს. ამასთან, ფორმულა 1-ის ერთ-ერთი გუნდის წევრმა „რენოს“ ყოფილი წევრი ლონდონის აეროპორტში შეამჩნია, საიდანაც პოლონელი ბრეკლიში გაემართა. სწორედ იქ მდებარეობს „მერსედესის“ ბაზა.

„მერსედესმა“ უარი თქვა ამ ინფორმაციის კომენტარზე.

შეგახსენებთ, რომ ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი წელს სეზონს ჩაატარებს რალიში - მონაწილეობას მიიღებს WRC2-ის კლასში მსოფლიოს ჩემპიონატზე. მან ასევე ტესტები ჩაატარა DTM-ის სერიაში „მერსედესის“ მანქანით.

გვერდი მოამზადა გია თვალაბაიშვილმა

კრიკი

კლიჩკო-პოვეტკინი დაინიშნა

უკრაინელი ვლადიმერ კლიჩკო და რუსი ალექსანდრ პოვეტკინი საჩემპიონო ბრძოლას მოსკოვში ჩაატარებენ. ამის შესახებ განაცხადა რუსი მოკრივის პრომოუტერმა ვლადიმერ ხრიუნოვმა.


ამ ბრძოლის უფლებებზე ვაჭრობა 23 აპრილს, პანამაში გაიმართა. ხრიუნოვმა რუსი ბიზნესმენის ანდრე რიაბინსკის დახმარებით 23 მილიონი დოლარი გადაიხადა. პრომოუტერულმა კომპანია K2 Promotion-მა, რომელიც კლიჩკოებს ეკუთვნით, მხოლოდ 7.1 მილიონი დოლარი წარმოადგინა, ხოლო კომპანია Sauerland Event-მა, რომელიც პოვეტკინის ინტერესებს წარმოადგენს გერმანიაში, ექვსი მილიონი დოლარი გაიმეტა.

მომავალ ბრძოლაში ჰონორარი შემდეგნაირად განაწილება - 75 პროცენტი ერგება კლიჩკოს და 25 პროცენტი - პოვეტკინს.

როგორც რუსული პრესა წერს, ბრძოლა 31 აგვისტოს გაიმართება, თუმცა ჩატარების ზუსტი ადგილი არ სახელდება. მაგრამ ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ რუსი და უკრაინელი მოსკოვში შეხვედებიან ერთმანეთს.

ამ საჩემპიონო შეხვედრამდე, კლიჩკოსა და პოვეტკინს თითო ბრძოლა ელით. უკრაინელი 4 მარტს დაუპირისპირდება იტალიელ ფრანჩესკო პიანეტას, რუსი კი 17 მაისს შეხვედება პოლონელ ანჯეი ვაჟიკს.

შეგახსენებთ, რომ კლიჩკოს ეკუთვნის სუპერმძიმე წონაში WBA-ის „სუპერჩემპიონის“ ტიტული, აგრეთვე საჩემპიონო ქაზრებს ფლობს IBF-სა და WBO-ის ვერსიით. ხოლო პოვეტკინი WBA-ის ვერსიით მსოფლიოს „ჩვეულებრივი“ ჩემპიონია. სწორედ ამ კომპანიამ დაავალდებულა კლიჩკო 31 აგვისტოს პოვეტკინს შეხვედროდა.



ვლადიმერ კლიჩკო

„საუხარო დანართი ანალიზი და კვირის, ჩაიხს და სხვათა ღირსეული შუამავა ბრუნველი წიგნი“ — კარლი უინტერი. The Daily Telegraph

როგორ იქმნებოდა უდიდესი გუნდი მსოფლიოში

# BARÇA

გაიბრუნეთ ფეხბურთის მსოფლიოში

2012 წლის საუკეთესო წიგნი „ფეხბურთის“

საესპანოური ფასი „ლელოს“ გიგანტობის 10.80 ლარი

გაკვეთილი

# ბარსა

## 30 აპრილს

### გაზეთ „ლელოსთან“ ერთად

ნიგეზი ადგილზე მიტანით ფასნაგების გარეშე ტელ.: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 [www.elva.ge](http://www.elva.ge)

ISSN 2233-3827

გამომცემელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამომცემის ყოველდღიური, გარდაკვირისა

7 72233 382000

მთავარი რედაქტორი თანავარი რედაქტორი თანავარი რედაქტორი

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბაიშვილი; მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახაიაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: [lelotd@gmail.com](mailto:lelotd@gmail.com) (რედაქცია); [lelo@palitra.ge](mailto:lelo@palitra.ge) ხელმონერილია დასაბეჭდად: 02:40

მისამართი: იოსებძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან მუშაობისათვის გაზეთის კომპიუტერული მასალებისა და ფოტოების სხვა ბაზაში და ელექტრონულ საშუალებებში გამომცემლობა აპირებს უზრუნველყვეს

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართო“ CRTUGE22 აკ. GE19CR0120007000043608